გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

სპეციალობა: საერთაშორისო ბიზნეს მენეჯმენტი

სამაგისტრო ნაშრომი

# ეკონომიკური პროტექციონიზმის შედეგები საერთაშორისო კომპანიების საქმიანობაში

სტუდენტი: მანჩო ღვინაძე

ხელმძღვანელი: პროფესორი ბესო ალადაშვილი

თბილისი

2019

## სარჩევი

ანოტაცია----------3

ANNOTATION----------4

შესავალი----------
5

თავი I. ეკონომიკური გლობალიზაცია თანამედროვე ეტაპზე----------7

1.1 რა არის ეკონომიკური გლობალიზაციის არსი ----------7

1.2 ეკონომიკური გლობალიზაციის განვითარების ეტაპები----------17

თავი II. ეკონომიკური პროტექციონიზმი----------22

2.1 პროტექციონიზმის ნეგატიური მახასიათებლები----------22

2.2 პროტექციონიზმის პოზიტიური მახასიათებლები----------25

2.3 მვო-ს როლი ეკონომიკური პროტექციონიზმის პოლიტოკაში----------29

თავი III. ეკონომიკური პროტექციონიზმი საქართველოს რეალობაში----------34

3.1 საქართველო და WTO----------34

3.2 დღევანდელი სიტოაციის ანალიზი----------44

დასკვნა----------48

გამოყენებული ლიტერატურა----------50

## ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ისეთ მნიშვნელოვან თემას, როგორიცაა ეკონომიკური პროტექციონიზმის შედეგები საერთაშორისო კომპანიების საქმიანობაში. შესავალში დასაბუთებულია: საკვლევი თემის აქტუალობა, განსაზღვრულია კვლევის მიზანი და ამოცანები, ასევე გადმოცემულია კვლევის მეთოდები.

პირველ თავში განხილულია გლობალიზაციის არსი, საუბარია იმაზე, თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია ქვეყნებისათვის თავისუფალ ვაჭრობას, რა ეტაპები გაიარა ვაჭრობამ მანამ, სანამ სავაჭრო ბარიერები შემცირდებოდა და შემდეგ საერთოდ გაქრებოდა. ასევე გადმოცემულია, თუ რატომ გახდა საჭირო ვაჭრობის მარეგულირებელი ორგანიზაციების ჩამოყალიბება.

მეორე თავში საუბარია ეკონომიკულ პროტექციონიზმზე, რა შედეგების მოტანა შეუძლია პროტექციონულ ნაბიჯებს, როგორ მოქმედებს ქვეყნის ეკონიმიკაზე მსგვაგსი პოლიტიკის გამოყენება, ასევე ყურადღება გამახვილებულია იმაზე ,თუ რა როლს ასრულებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ეკონომიკური პროტექციონიზმის პოლიტიკაში.

მესამე თავში დეტალურადაა განხილული საქართველოში ეკონომიკური პროტექციონიზმის მდგომარეობა. საუბარია იმაზე, თუ არა მსგავსი ნაბიჯების გადადგმა შეგვიძლია და რა ვალდებულებები გვაქვს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ. ბოლოს გადმოცემულია ის შედეგები, რაც მივიღეთ WTO-ში გაწევრიანების შემგდომ.

დასკვნით ნაწილში ყურადღება არის გამახვილებული იმ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც გასათვალისწინებელია სწორი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვისთვის. ადგილობრივი ბაზრის დაცვა მნიშვნელოვანია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს მვო-ში არსებული ვალდებულებები, რადგან არასწორმა პროტექციონისტულმა ნაბიჯმა შეიძლება დააზარალოს როგორც ადგილობრივი, ასევე გარე ბაზარი.

## Annotation

This dissertation work is dedicated to such important issues as the effects of economic protectionism in the activities of international companies. In the introduction it is justified the importance of the research topic, the purpose and tasks of the research are defined, and the research methods are reported.

The first chapter discusses the essence of globalization, and the impacts which free trading can bring for the countries; what stages went the trade through when the barriers were decreased and then disappear fully. And why it became necessary to establish the trade regulatory organizations.

The second chapter discusses economic protectionism and what are the results of this politics; how economic protectionism can impact on the economy of the country. It also emphasizes the role of the World Trade Organization in the economic protectionist politics.

The third chapter deals with the state of economic protectionism in Georgia. Whether we can take steps like these or not and what responsibilities we have taken while joining to WTO. At last, there is information about the result we got from the WTO.

In the final part it is emphasized on the key issues mentioned in the above sections, which should be taken into consideration for the proper economic policy. The protection

of the local markets is important but we should not forget about the obligations in WTO, because the wrong protective steps can damage both domestic and external markets.

## შესავალი

**თემის აქტუალობა.** თანამედროვე ეტაპზე გლობალიზებულ მსოფლიო ეკონომიკაში მსოფლიო ერთ მთლიან სივრცედაა გადაქცეული. თავისუფალი ვაჭრობის შექმნა რეალურად ითვალისწინებდა სავაჭრო ბარიერების შემცირებას, თუმცა მიმღებ ქვეყანას შეუძლია უკანონოდ თავის სასიკეთოდ აკეთოს ისე, რომ მწარმოებელი დააზარალოს. ამას გარდა, ძალთა დისბალანსი სახელმწიფოთა შორის არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს მცირე სახელმწიფოებს. ძლიერ ქვეყნებს კი ეძლევათ საშუალება, განსაზღვრონ ვაჭრობის პირობები ისე, რომ მიიღონ სარგებელი. სწორედ ამიტომ იყენებენ პროტექციონიზმს. პროტექციონიზმი არის საგარეო სავაჭრო პოლოტიკის მიმართულება, რომელიც იცავს სამამულო წარმოებას უცხოური კონკურენციისგან. პროტექციონიზმი უარყოფს საბაზრო ძალების თავისუფალ მოძრაობას, რადგან ქვეყნებს აქვთ განსხვავებული ეკონომიკური პოტენციალი და კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე. პროტექციონიზმი ხელს უწყობს გარკვეული დარგების განვითარებას, ამცირებს უმუშევრობას, თუმცა ამ პოლიტიკის ხანგრძლივი გამოყენება ეკონიმოკურ უმოძრაობას იწვევს, რის შედეგადაც სუსტდება სამამულო მწარმოებელთა დაინტერესება წარმოების ტექნიკური დონის და ეფექტიანობის ამაღლების მიმართ.

შესაძლოა სახელმწიფო მოხელეებს ყოველთვის არ ჰქონდეთ წარმოდგენა სავაჭრო ბარიერების შედეგებზე. მსოფლიო ეკონომიკაში საგარეო ვაჭრობის მნიშვნელობა განპირობებულია გლობალიზაციის ობიექტური პროცესით. ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების ლიბერალიზაციამ, არასატარიფო ბარიერების შემცირებამ, შემდგომ პროტექციონულმა ნაბიჯებმა საჭირო გახადა მისი მარეგულირებელი ორგანიზაციის შექმნა, კერძოდ კი-WTO-ს შექმნა. სწორედ აღნიშნული ორგანიზაცია ახორციელებს ვაჭრობაში მინიჭებულ შეთანხმებებს და ეროვნული სავაჭრო პოლიტიკის მონიტორინგს.

**სამაგისტრო ნაშრომის მიზანი და ამოცანები.** ნაშრომის მიზანია ეკონომიკური პროტექციონიზმის არსის გარკვევა, მისი ანალიზი, კერძოდ, დადებითი და უარყოფითი მხარეების დადგენა, ანუ ის, თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია ქვეყნის ეკონომიკაზე.

მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომი კონცენტრირებულია შემდეგ ამოცანებზე:

1. ეკონომიკური გლობალიზაციის არსი;
2. ეკონომიკური გლობალიზაციის განვითარება, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები;
3. ეკონომიკური პროტექციონიზმის როლი ვაჭრობაში;
4. საერთაშორისო ორგანიზაციების როლი ეკონომიკურ პროტექციონიზმში;
5. ეკონომიკური პროტექციონიზმი საქართველოს რეალობაში;
6. დღევანდელი სიტუაციის ანალიზი.

**კვლევის მეთოდები**

კვლევის ძირითად წყაროს წარმოადგენს მსოფლიოში ცნობილ მეცნიერთა ნაშრომები, ანტიკური დოკუმენტები, მათ მიერ მომზადებული ანგარიშები. ნაშრომში გამოყენებული იქნა კვლევის ისტორიული და ლოგიკური განზოგადების მეთოდები. განხორციელდა ინფორმაციის მოძიება, შეფასება, ანალიზი, შედარება და განზოგადება.

# თავი I. ეკონომიკური გლობალიზაცია თანამედროვე ეტაპზე.

## 1.1 რა არის ეკონომიკური გლობალიზაციის არსი.

იმისათვის, რომ გავიგოთ ეკონომიკური გლობალიზაციის არსი, საჭიროა უკეთ გავიაზროთ მისი მახასიათებლები. „ლინგვისტური თვალსაზრისით, ტერმინი გლობალიზაცია წარმოსდგება ფრანგული სიტყვიდან global-ისაგან, რაც საყოველთაოს ნიშნავს. გლობალიზაცია ფრაგმენტაციის (დაყოფა, დანაწევრება) საწინააგმდეგო ტერმინად მოგვევლინა XX საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც პირველად ამერიკელმა მეცნიერმა ტ. ლევიტმა იგი ცალკეული ბაზრების შესწავლის პროცესის ასახსნელად გამოიყენა“[1] . თავდაპირველად გლობალიზაცია ეკონომიკურ ტერმინად გამოიყენებოდა, მაგრამ მალე ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა.

მალე გლობალიზაციის უამრავმა განმარტებამ იჩინა თავი, მაგალითად: „ამერიკელი ეკონომისტი გ. ბჰაგვატი განმარტავს, რომ ეს არის საგარეო ვაჭრობის, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების, მოკლეევადიანი კაპიტალის ნაკადების, სამუშაო ძალის და საერთოდ მოსახელობის გადაადგილების, ასევე ტექნოლოგიების,

[1] თეიმურაზ შენგელია, გლობალური ბიზნესი, თბილისი, გამომც. „უნიბერსალი“, 2013, გვ. 30

საერთაშორისო გაცვლის საფუძველზე მსოფლიო სისტემაში ეროვნული ეკონომიკის ინტეგრაციის პროცესი“[2].

გლობალიზაცია წარმოადგენს მსოფლიო განვითარების ახალ მოვლენას, რომელიც ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს. თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო ეკონომიკური ერთობა, ურთიერთდაკავშირებული ქვეყნების ერთობლიობის ნაცვლად, გადაიქცა მთლიან ეკონომიკურ სისტემად. სწორედ ამიტომ დღესდღეობით ცალკეული ქვეყნების მომავალს ხშირად მსოფლიო ეკონომიკის ტენდენციები განსაზღვრავს.

აღსანიშნავაი ის, რომ გლობალიზაციის არცერთი განსაზღვრება ბოლომდე არ გადმოსცემს მის აზრს. ამ საკითხთან დაკავშირებით მეცნიერების შეხედულებები განსხვავებულია. მსოფლიო დონეზე ეკონომიკა ხასიათდება საერთაშორისო ეკონომიკური და საზოგადოებრივი კავშირების ინტენსიურობით, ასევე საქონლის, მომსახურების, რესურსების, ტექნოლოგიების აქტიური გადაადგილებით. ამერიკელი მეცნიერის ი. ვალერშტაინის აზრით, მსოფლიო სამ ნაწილად იყოფა. ესენია: პირველი-ძლიერი ქვეყნები, რომლისკენაც მთელი მსოფლიო მიისწრაფვის, მეორე-განვითარებადი ქყეყნები და მესამე-ღარიბი ქვეყნები. გლობალიზაციის მიზანია, საწარმოო ძალების და მსოფლიო კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა, სწრაფვა ერთიანი ბაზისა და სტანდარტებისაკენ.

ამ ინტეგრირებულ გლობალურ ეკონომიკაში, ქართველს შეუძლია წავიდეს სამსახურში თავისი მანქანით, რომლის დიზაინი შექმნილია გერმანიაში, ავტომობილი აწყობილია მექსიკაში, „დაიმლერ-კრაისლერის“ მიერ აშშ-სა და იაპონიაში დამზადებული ნაწილებისაგან, რომლებიც, თავისი მხრივ წარმოებულია კორეული ფოლადისა და მალაიზიური რეზინისაგან. ის სარგებლიბს „ბრითიშ პეტროლეუმის“ ბენზინგასამართი სადგურის მომსახურებით, რომელიც ეკუთვნის ბრიტანულ მულტიეროვნულ კომპანიას. ბენზინი დამზადებულია ფრანგული კომპანიის მიერ აფრიკის მდიდარ სანაპიროზე მოპოვებული ნავთობით, რომელსაც შემდგომ ეს

[2] თეიმურაზ შენგელია, გლობალური ბიზნესი, თბილისი, გამომც. „უნივერსალი“, 2013, გვ. 30

კომპანია აგზავნის მსოფლიო ქვეყნებში საბერძნეთის საპორტო ქსელით გემების მეშვეობით[3].

ეკონომიკური გლობალიზაცია საჭირო და მნიშვნელოვანია. ეს არის გზა პლანეტის მასშტაბით რესურსების  უფრო ეფექტიანი განაწილებისა და  მათი გამოყენების შესაძლებლობის. მიუხედავად სახელმწიფო საზღვრებისა იზრდება რესურსების მოპოვება, წარმოება და მათი გასაღების გზები.  განსაკუთრებით მაღალი ტემპით ვითარდება ქვეყნებს შორის ინფორმაციის, ტექნოლოგიების გაცვლა, კაპიტალის გატანა, საგარეო ვაჭრობა. გლობალიზაციის უმნიშვნელოვანესი დადებითი შედეგია გრძელვადიან პერიოდში, განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის სოციალურ-ეკონომიკური დონის გათანაბრების შესაძლებლობა. გლობალიზაციის პროცესი ხასიათდება გარკვეულ ფაქტორთა ერთობლიობით. ეს ფაქტორებია: ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება,  საფინანსო სფეროს გლობალიზაცია, ტრანსნაციონალური კონპანიების მასშტაბური ზრდა.  ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების გაწევრიანებისაკენ სწრაფვა, ისეთებში როგორიცაა:  მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ევროკავშირი და სხვა.

უფრო მარტივად, რომ შევხედოთ გლობალიზაციის განმარტებებს, გლობალიზაცია ესაა ქვეყნებს შორის საზღვრების გაქრობა და მსოფლიოს ერთ მთლიან სივრცედ გადაქცევა. თუმცა ვფიქრობ, რომ ამ კონტექსტით გლობალიზაციის აღქმა არასწორია, რაც არ უნდა ვქთვათ, რომ ამ დროს აქცენტი კეთდება გლობალურზე, რეალურად ყურადრება მაინც ლოკალურ საკითხებზეა გამახვილებული.

ნემისმიერი ბიზნესი, რომელიც იწყება მისთვის უცხო გარემოში, განიცდის დამხვედრი გარემოს ძლიერ გავლენას. შეუძლებელია ის მიღებულიქნას ყოველგვარი წინააღმდეგობების გარეშე. ასევე ის განიცდის ადაპტირებას და ტრანსფორმაციას დამხვედრ გარემოსთან. სწორედ აღნიშნული სიტუაცია გვაქვს გლობალიზაციის პირობებში.  ქვეყანა როგორც არ უნდა იყოს ჩართული მსოფლიო პროცესებში,  მაინც ვერ დაკარგავს ბოლომდე თავის იდენტურობას.

[3] თეიმურაზ შენგელია, გლობალური ბიზნესი, თბილისი, გამომც. „უნივერსალი“, 2013, გვ. 28

ჩვენთვის კარგად ცნობილი ფრაზაა „იფიქრე ლოკალურად, იაზროვნე გლობალურად“, რადგან ლოკალური ადგილის გაუთვალსწინებლობა ვერ მოგვცემს გლობალურ ტენდენციებზე გასვლის გზას. თუ  დავიწყებთ ლოკალურ ელემენტებთან ბრძოლას და მათ გაქრობას ძალიან დიდ პროტესტეს გამოვიწვევთ, რადგან დღესდღეობით სახელმწიფოებს ისე როგორც არასოდეს აქვთ სურვილი შეინარჩუნონ, ის რამაც გაუძლო თანამედროვე სამყაროს ტენდენციებს.

ნებისმიერმა გლობალურმა კომპანიამ იცის, რომ მისი წარმატება იქნება, ის თუ როგორ ეფექტურად განხორციელდება ლოკალურ მოთხოვნილებებთან ადაპტირება. ნებისმიერი პროდუქტი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ეფექტის მქონეა. მაგალითია: „სპორტული სამოსის მწარმოებელი ფირმა „NIKE“,  რომელმაც თავისი ამერიკულ კულტურასა და ჩვეულებებზე მორგებული სლოგანი შევალა იმის მიხედვით თუ რომელ  ქვეყანაში შექონდა თავისი პროდუქცია“ [4].

განვიხილოთ ასევე ორი ყველაზე გლობალური პროდუქტი, კონკრეტულად მაკდონალდსის და კოკა-კოლას მაგალითზე. დავიწყოთ მაკდონალდსის განხილვით. მისი პრიდუქცია აშშ-ში, საქართველოსა და მაგალითად იაპონიაში აბსოლუტურად იდენტური გემოვნური თვისებების მატარებლია, თუმცა მან მაინც განახორციელა მარკეტინგულად მომგებიანი სვლა, როდესაც ქართულ ბაზარზე შემოიტანა სამარხვო პროდუქცია, იაპონურ ბაზარზე სუშის მსგავსი პროდუქტი, რამაც ადგილობრივი მომხმარებლის კმაყოფილება გამოიწვია და შესაბამისად შემოსავლის ზრდაც. რაც შეეხება კოკა-კოლას, მან თავისი სარეკლამო კამპანია დაგეგმა სწორად, ის თითქმის ყველა ქვეყანაში სპეციფიურ და სხვადასხვა სარეკლამო რგოლებს ამზადებს, ამით ის ზრდის მოსახლეობის ცნობადობას და პოპულარობას. ასე შეგვიძლია ვთქვათ,რომ გლობალიზაცია ლოკალური სივრცის შეცნობით ხდება წარმატებული.

თანამედროვე პირობებში საზოგადოებაში გლობალიზაციას აღიქვამენ როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური დატვირთვით. გლობალიზაციის პროცესის მხარდამჭერთა მტკიცებით გლობალური ბაზრები უზრუნველყოფენ დიდ პოტენციალს, ხელმისაწვმდომს ხდიან კაპიტალს, ტექნოლოგიებს და ფართო საექსპორტო ბაზრებს.

[4] http://www.socium.ge/index.php/articles/student-articles/14-glocalisation

მათი აზრით გლობალიზაცია უზრუნველყოფს არსებული რესურსების უკეთ და სრულად გამოყენების საშუალებას. გარდა ამისა, კონკურენცია აძლევს ქვეყნებს საშუალებას აწარმოონ ის, რაც მათ უკეთ გამოსდით,ხოლო ის რისი წარმოებაც მათ გაცილებით ძვირი უჯდებათ  სხვა ქვეყნებთან შედარებით, მოახდინონ მსგავსი პოდუქტის ომპორტი.

გლობალიზაციის გამოწვევაა სახელმწიფოთა შორის საგარეო ეკონომიკური კავშირების გაფართოება. ჩვენი ქვეყნის მაგალითი რომ ავიღოთ, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა ქვეყნებთან ურთიერთობების განვითარება და განმტკიცება, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გამყარება, ასევე სატრანსპორტო, ენერგეტიკულ და სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროებში ურთიერთობების გაღრმავება. ასეთ ურთიერთობებს ეფექტიანობის საკმაოდ დიდი პოტენციალი გააჩნია.

გლობალიზაცია ასევე იძლევა შესაძლებლობას შეიქმნას „თავისუფალ-ეკონომიკური ზონები“. აქ ადგილობრივი მთავრობი მიერ შეთავაზებულია შეღავათიანი საგადასახადო პირობები, კეთდება შეღავათები საექსპორტო და საიმპორტო გადასახადებზე.  ასეთი ზონები პირველად ევროპაში გამოჩნდა,  შემდეგ გადაინაცვლა ამერიკასა და სხვა ქვეყნებში. აღსანიშნავია ის, რომ საქართველოშიც გამოჩნდა „თავისუფალი ინდუსტრიული ზონები“, მაგალითად: ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა და სხვა.

შეგვიძლია განვიხილოთ საქართველოს მაგალითზე გლობალიზაციის დადებითი შედეგები. საქართველოსათვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო ბაზრებთან მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა, რომელიც ეროვნული ინდუსტრიის გაუმჯობესებისა და ახალი ქართული პროდუქციის შექმნის ერთერთი მთავარი ფაქტორია. საერთაშორისო კონკურენცია კი მნიშვნელოვნად განაპირობებს საექსპორტო პროდუქციის მრავალფეროვნებას. გლობალური ბიზნესის გზების ძიება და კვლევა აძლევს ქართულ კომპანიებს შანსს, შეიძინონ სხვასასხვა ტექნოლოგიური გამოცდილება. შესაბამისად უნდა გაძლიერდეს მუშაობა ვმო-ს და გაეროს წევრ ქვეყნებში საექსპორტო ბაზრების მოსაპოვებლად.

რაც შეეხება გლობალიზაციის ნეგატიურ მხარეებს, შეიძლება ითქვას, რომ არც ისე ცოტა უარყოფითი შედეგების მოტანა შეუძლია. „ანტიგლობალისტები“ მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო ოგანიზაციები როგორიცაა: გაერო, „დიდი რვიანის“ ქვეყნები, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდები და სხვა აჭარბებენ თავიაანთ უფლებამოსილებას.

გარდა ამისა, ანტიგლობალისტები მიიჩნევენ, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების ერთადერთი საზრუნავი თავიანთი საქმიანობის გაფართოებაა და ისინი მხოლოდ მაქსიმალური მოგების მიღებაზე არიან ორიენტირებულები. ტნკ-ები ზეგავლენას ახდენენ მთავრობებზე, რომ გახდნენ მმართველი პოლიტიკური ძალები. მათთვის არ არსებობს რაიმე მექანიზმი, რომელიც აიძულებთ ხალხი დააყენონ მოგებაზე წინ. ტრანსნაციონალური კორპორაციები ცდილობენ მიიღონ შეღავათები კანონმდებლობებიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში თავისი კაპიტალის უკან წაღებით იმუქრებიან. ისინი იხდიან გადასახადებს შეღავათებით, რაც ამცირებს საზოგადოებრივ კეთილდღეობას.

დემოგრაფიის თვალსაზრისით გლობალიზაცია ყველაზე საშიშ პრობლემას წარმოადგენს. მიგრაციული პრობლემების გაძლიერება, სამწუხაროდ გლობალიზიაციის თანმდევი პროცესი გახდა, ეს კი საფრთხეს უქმნის ერებს განსაკუთრებით მცირერიცხოვანს.

„გლობალიზაციის პირობებში დემოგრაფიის თვალსაზრისით, ყველაზე უფრო საშიშ ტენდენციას წარმოადგენს უღარიბესი ქვეყნებისა და რეგიონების წილის მკვეთრი ზრდა. მაგალითად აფრიკის წილი მსოფლიო მოსახეობაში 1950 წელს შეადგენდა 8,8%, 2000 წელს -11%, 2010 წელს-12,5%, 2025 წელს მოსალოდნელია 16%, 2050 წელს 20%, ამავე დროს ევროპის წილი მსოფლიო მოსახლეობაში 1950 წელს შეადგენდა 21,6%, 2000 წელს-12,6%, 2010 წელს-10%, 2025 წელს მოსალოდნელია -7,1% შეცირება“[5].

[5] სოლომონ პავლიაშვილი, გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციები, გლობალიზაცია და მეცნიერების აქტუალური პრობლემები 21-ე საუკუნეში, მეცნიერება და ცხოვრება №1 (7), თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი, 2013 წელი, გვ.27

ხშირად ანტიგლობალისტები გლობალიზაციის პროცესს მოიხსენიებენ, როგორც „ვირუსს“, რადგან ერთი ქვეყნის კრიზისი შესაძლოა მთელს მსოფლიოს კრიზისზე აისახოს. მაგალითად 2015 წელს მსოფლიოში არასახარბიელოდ გამოიყურებოდა ეკონომიკის ზრდის ტემპი, რაც მსხვილი ქვეყნების უკუსვლით იყო განპირობებული. მაგალითად: ევროპასა და ცენტრალურ აზიაში ეკონომიკური ზრდა 2015 წელს 2,1 %-მდე შემცირდა, ძირითად მიზეზაბად ნავთობის ფასის მკვეთრი შემცირება, ასევე უკრაინის კრიზისი და ამ კრიზისის გამო რუსეთისთვის დაწესებული ეკონომიკური სანქციები სახელდებოდა.

გლობალიზაცია არ არის ყველა ქვეყნისათვის ხელსაყრელი და სარგებლის მომტანი, ზოგიერთი ქვეყანა სწრაფად ახერხებს გლობალურ მსოფლიოსთან ინტეგრაციას, ხოლო სხვა დანარჩენი ქვეყნები შედარებით ნელი ტემპით ახდენენ ადაპტაციას. გლობალიზაცია არ პირდება ქვეყნებს, რომ საქმიანი ურთიერთობებიდან ყველა მიიღებს მაქსიმალურ სარგებელს, მოსალოდნელი მაღალი შემოსავლებისა და მოგების მოლოდინში არ უნდა დაგვავიწყდეს ის ნეგატიური შედეგები და ტენდენციები, რაც შეიძლება გლობალიზაციის პროცესს მოჰყვეს. თანამედროვე ეტაპზე გლობალიზაცია ნეგატიური გავლენას ახდენს ეროვნულ სახელმწიფოებზე და მთელ მსოფლიოზე. გახშირებული ეკონომიკური, ფინანსური, ენერგეტიკული, ეკოლოგიური კრიზისები, ტერორიზმი, ტრანსნაციონალური დანაშაული, კონტრაბანდა, არალეგალური იარაღით ვაჭრობა, ნარკობიზნესი, შრომითი რესურსების არალეგალური მიგრაცია, რაც უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს განვითარებადი და გარდამავლი ეკონომიკის ქვეყნებისათვის. კვლევის უმთავრესი პრობლემა მსოფლიოს მრავალ ქვეყანას ეხება, მაგრამ აქტუალურია იმ განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომლებიც განსაკუთრებით რეაგირებს მსგავსი პრობლემების მიმართ.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წამოადგენენ ძირითად ელემენტს გლობალიზაციის პროცესში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქმნის სტაბილურ და გრძელვადიან კავშირებს ეკონომიკებს შორის. ის წარმორადგენს ერთგავრ კაპიტალდაბანდებას. რაც უფრო მეტი კაპიტალდაბანდებაა ნებისმიერი ქვეყნის

ეკონომიკაში, უფრო მეტადაა სავარაუდო მისი ეკონომიკური ზრდა. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციამ დადებითი გავლენა მოახდინა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობაზე. დღეისათვის ისეთი ფირმები როგორიცაა „ტოიოტა“ „მაკდონალდსი“, უპი-ების განხორციელებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ დედამიწის მრავალ რეგიონში.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა ასევე დიდი როლი ითამაშა ეკონომიკის გლობალიზაციაში. ასევე საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობამ და არის პროცესი, რომელსაც შეიძლება ითქვას ყველაზე მეტად შეეხო გლობალიზაცია და მოიცვა ის. ესაა საფინანსო ოპერაციების სფერო. ფინანსების გლობალიზაცია ნიშნავს ფინანსური ბაზრების დაახლოებას. ფინანსურმა გლობალიზაციამ თანაბარად არ მოიცვა მთელი მსოფლიო. ის ძირითადად ნაწილდება აშშ-ზე, ევროპასა და იაპონიაზე. ფინანსური გლობალიზაციის ერთ-ერთი მაგალითია ამა თუ იმ ქვეყნის ვალუტის მიმოქცევა მის საზღვრებს გარეთ. ამის მაგალითი კი არის დოლარი, შემდეგ კი ევრო.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეკონომიკური გლობალიზაცია ესაა ერთიანი ეკონომიკური სისტემა, სადაც სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური წარმომადგენლები მოქმედებენ ისე, როგორც ერთი ქვეყნის ფარგლებში.

არსებობს ის დეტერმინანტები, რომლებიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ფირმამ გლობალიზაციის პროცესში.






განათლების როლი გლობალიზაციაში უმნიშვნელოვანესია. ამით განისაზღვრება რა სახის საქონელი შეიძლება გაიყიდოს ან რა სახის რეკლმა შეიძლება დამზადდეს. შეიძლება კონკრეტულ ქვეყანაში წერაკითხვის მცოდნე საზოგადოება ძალიან მცირეა, ამიტომ ამ დროს  რეკლამის აქცენტი კეთდება პიქტოგრამებზე.

ენობრივი სხვაობის გათვალისწინებაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. თუ რატომ ამას „ჯენერალ-მოტორსის“ მაგალითი გვანახებს. მან პუერტო რიკოს ბაზარზე შეიტანა მანქანა სახელწოდებით „ნოვა“. პუერტო რიკოში ეს სიყვა ნიშნავს „არ დადის“ და ბუნებრივიცაა რომ ვერ მოიპოვა პოპულარობა.

რელიგიური ეთიკა დიდ მნიშვნელობას ახდენს ქვეყანაში ბიზნენის წამოებაზე. კარგად ვიცით ისლამის მიმდევრები ღორის ხორცსა და ალკოჰოლს კრძალავენ. ბუდიზმიც ასევე კრძალავს ალკოჰოლს. ასე, რომ უნდა მოხდეს რელიგიის მიხედვით შესაბამისი ბიზნენის წამოწყება თუ გვინდა წარმატების მომტანი იყოს.

კულტურული ღირებულებები და ნორმები არ არი სრულად ჩამოყალიბებული. ისინი მოიცავს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფილოსოფიას, საზოგადოების სოციალურ სტრუქტურას, რელიგიას, ენას განათლებას და აშ..  ასე რომ საერთაშორისო ბიზნესში საყურადღებოა, ის თუ რა ზეგავლენას ახდენს კულტურა საზოგადოების იმ ღირებულებებზე, რომლებიც მათ სამუშაო ადგილას არის დაფუძნებული.

გლობალიზაცია, როგორც ერთი მთლიანი სისტემა შეგვიძლია დავყოთ რამდენიმე სახედ: პირველი და შეიძლება ითქვას ყველაზე მნიშვნელოვანი ესაა ფინანსური გლობალიზაცია, პოლიტიკური, ეკოლოგიური, ინფორმაციული. ამ სახეობებს შორის ყველაზე სწრაფი ტემპით განვითარდა ფინანსური გლობალიზაცია. ფინანსური გლობალიზაცია არის გლობალიზაციის დანარჩენი სახეობების საფუძველი. ეს კი გვანახებს იმ ფაქტს, რომ თუ წლების განმავლობაში პოლიტიკა პატონობდა ეკონომიკაზე ეხლა კი ეკონომიკამ შეძლო იმდენი, რომ განსაზღვრა პოლიტიკის ბედი.

გლობალიზაციის შედეგად დასაბამი დაედო ტრანსეროვნული კორპორაციების (ტეკ) და ტრანსეროვნული ბანკების (ტეპ) შექმნას. ტეკ-ები აახლოებენ სხვადასხვა ქვეყნის საწარმოებს. აღსანიშნავია, ის რომ ტეკ-ები და სახელმწიფოები თითქმის ერთნაირი სიძლიერის პარტნიორები გახდნენ მსოფლიო ეკონომიკაში. ისინი თანამშრომლობენ და ამასთან კონკურენციას უწევენ ერთმანეთს.

ამ გლობალიზაციის პროცესში ბუნებრივია გაჩნდებოდა კონკურენციაც. სწორედ ესაა ის, რაც ფირმებს აიძულებს აკეთონ მეტი რათა კონკურენცია გაუწიონ ერთმანეთს. „გლობალიზაცია კიდევ უფრო ამწვავებს კონკურენციას, სიმძიმის ცენტრი გადადის ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ სფეროში, რაც პოლიტიკური კონკურენციის საფუძველს წარმოადგენს და სხვა განზომილებას იძენს მსოფლიო ეკონომიკის რეგიონალიზაციის ფონზე“[6]. ასე რომ ეს არის ბიძგი თავისუფალი კონკურენცის.

ეკონომიკური გლობალიზაციის მაჩვენებელით, რომელიც გამოხატავს მოცემული ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირების ხარისხს, პირველ ათეულში შედიან: სინგაპური, ლუქსემბურგი, ირლანდია, მალტა, ბელგია, ნიდერლანდები, ესტონეთი, უნგრეთი, ბაჰრეინი, შვედეთი. ამ ქვეყნებში ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსი

[6] თეიმურაზ შენგელია, გლობალური ბიზნესი, თბილისი, გამომც. „უნიბერსალი“, 2013, გვ. 36

ანუ KOF ინდექსი 96,67%-სა და 88,11% შორის ფიქსირდება. ხოლო საქართველო 69,43%-ით 51-ე ადგილზეა.[7]

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა გლობალიზაციის მთავარი ინდიკატორი მაინც ვაჭრობაა, როდესაც კონკრეტული ფირმა გადის სხვა ბაზარზე მან შეიძლება სხვადასხვაგვარი გავლენა მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკაზე. მაგალითად ადგილობრივი პროდუქციის წარმოება დაეცემა თუ უცხოური ფილიალები იმოქმედებენ ისე, როგოც ადგილობრივი და აწარმოებენ პროდუქტს უფრო დაბალი დანახარჯებით. ან კარგის მომტანი იქნება იმ შემთხვევაში თუ უცხოური კომპანია იმას აწარმოებს, რაც ვერ იწარმოება ადგილობრივ ბაზარზე ან მცირე რაოდენობით.

ზოგადად ეროვნულ საზღვრებს გარეთ ეკონომიკური საქმიანობის გატანამ მნიშვნელოვანი სარგებელი შეიძლება მოუტანოს ქვეყანას, ესენია :

- ახალი საქონლის შექმნის პერსპექტივა, ახალი ბაზრების დასაკმაყოფილებლად
- ახალი შესაძლებლობების წარმოჩენა
- რესურსების ხელმისაწვდომობა
- სხვადასხვა პარტნიორებისგან მიღებული გამოცდილებების შეძენა

და სხვა.

მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნების ზრდა მსოფლიო ვაჭრობაში. სავაჭრო ბარიერების შემცირებამ ამ ქვეყნებს მისცა საშუალება ექსპორტის ზრდისაკენ. მაგალითად რომ ავიღოთ ინდოეთის მონაწილეობა ამ სავაწრო სისტემაში. ამ ზრდის მიზეზი იყო იაფი მუშახელი, რაც ხელსაყრელი იყო ტნკ-ებისთვის. ამასთან ტრანსნაციონალური კორპორაციები ფლობენ მექანიზმებს, რომელთა საშუალებით თავს არიდებენ სახელმწიფოთა საგადასახადო კანონმდებლობას. ესაა ტრანსფერული ფასები და ოფშორული ზონები.

[7]როზეტა ასათიანი, გლობალიზაცია ეკონომიკური თეორია და საქართველო, თბილისი, გამომც. „სიახლე“, 2010,გვ10

ტნკ-ებსა და სახელმწიფოებს სრულიად განსხვავებული მიზნები ამოძრავებთ. სახელმწიფოს ისეთი ეკონომიკური მიზანი, როგორიცაა ახალ ბაზრებზე დამკვიდრება ემთხვევა ტნკ-ების ინტერესებს, მაგრამ სხვა მიზნები, მაგალითად: სოციალური სტრუქტურებისა და კულტურული ღირებულებების შენარჩუნება, გარემოს დაცვა, ეკონომიკური ავტონომიურობის შენარჩუნება, არ დგას ტნკ-ების საქმიანობის დღის წესრიგში.

ამდენად, კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაცია ასევე, ბაზრების გახსნა სავაჭრო ნაკადებისათვის, ქმნის ეკონომიკის გლობალიზაციას. გლობალიზაციის რეალურ სუბიექტებს ტნკ-ები წარმოადგენენ, რადგან ამ პროცესის განვითარება განისაზღვრება მსოფლიო ბაზარზე ტნკ-ების ქცევითა და სტრატეგიებით.

## 1.2 ეკონომიკური გლობალიზაციის განვითარების ეტაპები

კაცობრიობის განვითარების პროცესში ვაჭრობა ოდითგანვე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. მრავალ ქვეყანას შეზღუდული რესურსების რაოდენობა აქვს. ასეთ ქვეყნებში შეუძლებელია შიდა მომხმარებლისათვის ყველა დარგის საქონლის წარმოება, შესაბამისად ვაჭრობა განვითარებადი ქვეყნებისათვის საქონლის მიღებისა და მეტი კეთილდღეობის საშუალებას იძლევა.

ეკონომიკის გლობალიზაცია მსოფლიოში მიმდინარე პროცესია, რომლის შეჩერება შეუძლებელია. აღსანიშნავია, რომ გლობალიზაციის განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული მსოფლიო ბაზარზე კონკურენციასთან. დღესდღეობით საერთაშორისო ვაჭრობა მიისწრაფვის ყველა ქვეყნისათვის ერთიანი სტანდარტების შექმისაკენ.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში ნამდვილად მიმდინარეობს შესამჩნევი ტენდენციები ცვლილებებისკენ - ჩამოყალიბდა სრულიად ახალი კონკურენტული ვითარება ყველა სახის რესურსის მოპოვებისთვის, გამკაცრდა კონკურენტული ბრძოლის მეთოდები, იმატა სოციალური და პოლიტიკური ხასიათის სანქციებმა,

კონფლიქტებმა საცხოვრებელი და სამუშაო ადგილების დაკარგვის გამო, ბრძოლამ უკეთესი მომავლისათვის და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაცია მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ძირითადი ტენდენციაა, სხვადასხვა ქვეყანასა და მსოფლიოს სხვადასხვა ეკონომიკურ და გეოგრაფიულ რეგიონს შორის, შეიმჩნევა განსხვავებები გლობალიზაციის განვითარების სიღრმის თვალსაზრისით. ამიტომ აუცილებელი გახდა, გარკვეული სისტემის შემუშავება, რომელიც გამოდგება სხვადასხვა ეკონომიკისა თუ ეკონომიკური სუბიექტის გლობალიზაციის ხარისხის შესაფასებლად.

თავისუფალი ვაჭრობის შექმნა რეალურად ითვალიწინებდა სავაჭრო ბარიერების შემცირებას, თუმცა მიმღებ ქვეყანას შეუძლია უკანონოდ თავის სასიკეთოდ აკეთოს ისე, რომ მწარმოებელი დააზარალოს. ამას გარდა, ძალთა დისბალანსი სახელმწიფოთა შორის არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს მცირე სახელმწიფოებს. ძლიერ ქვეყნებს კი ეძლევათ საშუალება განსაზღვრონ ვაჭრობის პირობები ისე, რომ მიიღონ სარგებელი.

სწორედ ამ ყველაფერმა მისცა დასაბამი შექმნილიყო ისეთი მარეგულირებელი ორგანიზაციები რომლებიც, ისე რომ არ ყოფილიყო ომი ქვეყნებს შორის, მშვიდობიანი გზით მოახდენდნენ ამ ყველაფრის რეგულირებას.

GATT ამოქმედდა 1948 წლის მარტში და გაერთიანებული იყო 23 ქვეყანა. GATT ადგენდა წესებს საერთაშორისო ვაჭრობის სამართლაინად წარმართვისათვის. თუმცა GATT წლების განმავლობაში განიცდიდა ცვლილებებს და შედიოდა მასში ახალი დადგენილებები. განსაკუთრებით კი განვითარებადი ქვეყნების სავაჭრო პრობლემების განვითარებისთვის შედიოდა ცვლილებები.

GATT-ის თითოეულ რაუნდზე ძირითადი განსახილველი საკითხი რა თქმა უნდა იყო ტარიფები. ბოლო წლებში როდესაც ვაჭრობამ ასეთ მასშტაბებს მიაღწია, წარმოიქმნა სხვა საკითხების განხილვის საჭიროებას. დაემატა ისეთი პრობლემები როგორიცაა: დემპინგი, არასატარიფო ზომები და სხვა. ბოლოს 1986-1994 წლებში ტარიფები

იმდენად მნიშვნელოვანი საკითხი გახდა ვაჭრობაში, რომ საჭიროდ ჩათვალეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შექმნა.

GATT-ის არსებობის მანძილზე ჩატარდა 8 მოლაპარაკებებეის რაუნდი. ცხრილი 1.[8]

| წელი | ადგილი | განხილული საკითხები | მონაწილე ქვეყნების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1947 | ჟენევა | ტარიფები | 23 |
| 1949 | ანესი | ტარიფები | 13 |
| 1951 | ტორკუეი | ტარიფები | 38 |
| 1956 | ჟენევა | ტარიფები | 26 |
| 1960-1961 | ჟენევა(დილონის რაუნდი) | ტარიფები | 26 |
| 1964-1967 | ჟენევა(კენედის რაუნდი) | ტარიფები და ანტიდემპინგური ზომები | 62 |
| 1973-1979 | ჟენევა(ტოკიოს რაუნდი) | ტარიფები, არასატარიფო ზომები | 102 |
| 1986-1994 | ურუგვაის რაუნდი | ტარიფები, არასატ.ზომები,ზომები, ვმო-ს ჩამოყალიბება | 123 |

[8] საერთაშორიოს ბიზნესი,ლექციების კურსი, თბილისი, გამომც. „უნივერსალი“, 2011, გვ172, http://www.bpa.ge/book/book53.pdf

| | | | |
|---|---|---|---|
| | | და სხვა | |

სწორედ ბოლოს, ურუგვაის რაუნდზე ჩამოყალიბდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. ურუგვაის შეთანხმებაზე მნიშვნელოვანი კანონები მიიღეს საქონლით ვაჭრობასთან დაკავშირებით. ასევე ყურადღება გამახვილდა საგადასახადო ბალანსზე, საბაჟო კავშირების და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (ვმო) დაარსდა 1995 წელს, ეს არის სწორედ ურუგვაის სადავო მოლაპარაკებების შედეგი. ამჟამად 149 წევრია. ვმო-ს ასე ვთქვათ მიზანია მის წევრ ქვეყნებს შორის მრავალმხრივი სამართლებრივი ურთიერთობა ჩამოაყალიბოს. საქართველო 2000 წლის 14 ივნისიდან ვმო-ს 137-ე წევრი ქვეყანა გახდა.

ვმო არის მნიშვნელოვანი გლობალური ორგანიზაცია მსოფლიოში, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებასა და ლიბერალიზაციას, დაარეგულიროს ვაჭრობასთან დაკავშირებული დავები სახელმიწოთა შორის. მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებმა ცხოვრების დონის გაუმჯობესებისა და მოსახლეობის კეთილდღეობისათვის უნდა გამოიყენონ და შეამცირონ მინიმუმადე სიღარიბის დონე.

გლობალიზაციის პირობებში ვმო-ს ძირითადი მიზანია საიმპორტო ტარიფების შემცირება და სხვადასხვა არასატარიფო ბარიერის გაუქმება. ესენი კი საშუალებას მისცემს განვითარებულ და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს ეფექტიანად, გამოიყენონ მსოფლიო რესურსები. ვმო-ს წევრი სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, რომ მათი სავაჭრო ურთიერთობები მიმართული იქნება ცხოვრების დონის ამაღლებისაკენ, განვითარებული წარმოების, საქონლითა და მომსახურებით გაფართოებული ვაჭრობის უზრუნველყოფისაკენ. მსოფლიო თანამეგობრობა ვმო-ს ფარგლებში აღიარებს, რომ განვითარებადი და განსაკუთრებით გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის აუცილებელია გარანტირებული იყოს საერთაშორისო

ვაჭრობაში მათი ეკონომიკის განვითარების მოთხოვნილებათა  წილი. ამ მიზნების მისაღწევად ქვეყნები აფორმებენ ხელსაყრელ ხელშეკრულებებს, კონვენციებს, რომლებიც მიმართულია საბაჟო ტარიფებისა და არასატარიფო ბარიერების შემცირებისაკენ.

გარდამავალი ქვეყნების სრულფასოვანი ინტეგრაცია ვმო-ში უდავოდ პროგრესული პროცესია.  საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაცია, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების გაფორმება მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებთან და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა, ნამდვილად  ეკონომიკური აღმავლობისა და განვითარების გარანტია.

# თავი II. ეკონომიკური პროტექციონიზმი

## 2.1 პროტექციონიზმის ნეგატიური მახასიათებლები

მიუხედავად გლობალური ბაზრებისა, მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა არ იძლევა თავის საზღვრებზე საქონლისა და მომსახურების არარეგულირებადი ნაკადების მოძრაობის უფლებას. შეზღუდვები დამახასიათებელია, როგორც საქონლისა და მომსახურების შეტანისათვის, ისე გატანისათვის. სახელმწიფოები თავისი სავაჭრო პოლიტიკით აქტიურ ზემოქმედებას ახდენენ, არამარტო თავიაანთ ქვეყნის ვაჭრობაზე, არამედ სხვა ქვეყნების საგარეო ვაჭრობაზე.

საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა ორ ტენდენციას - პროტექციონიზმისა და ლიბერალიზაციის მუდმივი ურთიერთქმედებით ხასიათდება. პროტექციონიზმი ეწოდება უცხოური კონკურენციისაგან შიდა ბაზრის დაცვაზე გამიზნულ პოლიტიკას. ლიბერალიზაციის პოლიტიკა ითვალისწინებს საერთაშორისო ვაჭრობის ხელშემშლელი ბარიერების შემცირებასა და აღმოფხვრას, უცხოური კაპიტალისა და საქონლისათვის შიდა ბაზრის გახსნას. [9]

პროტექციონიზმი არის საგარეო სავაჭრო პოლოტიკის მიმართულება, რომელიც იცავს სამამულო წარმოებას უცხოური კონკურენციისგან. პროტექციონიზმი უარყოფს საბაზრო ძალების თავისუფალ მოძრაობას,რადგან ქვეყნებს აქვთ განსხვავებული

[9] ლარისა ყორღანაშვილი, საერთაშორისო ბიზნესი, თბილისი, გამომც. „თბილისის უნივერსიტეტი“ 1998, გვ 155

ეკონომიკური პოტენციალი და კონკურენტულუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე. ამიტომ განვითარებად ქვეყნებისათვის არარის მომგენიანი საბაზრო სისტემის თავისუფალი მოძრაობა.

პროტექციონიზმი ხელს უწყობს გარკვეული დარგების განვითარებას, ამცირებს უმუშევრობას, თუმცა ამ პოლიტიკის ხანგრძლივი გამოყენება ეკონიმოკურ უმოძრაობას იწვევს რის შედეგადაც სუსტდება სამამულო წარმოებელთა დაინტერესება, წარმოების ტექნიკური დონის და ეფექტიანობის ამაღლების მიმართ . პროტექციონიზმის პოლიტიკის გატარებისას სახელმწიფო აქტიურად იყენებს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის სხვადასხვა მეთოდებს. საგარეო სავაჭრო მეთოდებს შორის არის ტარიფები და არასატარიფო ბარიერები, ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები. თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობის წესები კრძალავენ იმპორტის შეზღუდვასა და სამთავრობო სუბსიდიებს, რომლებიც მიმართულია ადგილობრივი წამროების დასახმარებლად და კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად. სავაჭრო ბარიერები სხვადასხვა ფორმით გაცილებით უფრო ფართოდაა გავრცელებული, ვიდრე საჭიროა ეკონომიკური თეორიების მიხედვით. შესაძლოა სახელმწიფო მოხელეებს ყოველთვის არ ქონდეთ წარმოდგენა სავაჭრო ბარიერების შედეგებზე. ასევე შესაძლებელია საექსპორტო დარგების მეწარმეებმა არ იცოდნენ, რომ საიმპორტო ბარიერებს შეუძლიათ შეაფერხონ მათი საქონილს გატანა.

საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების გზაზე ბარიერების აღმართვით გამოწვეული დანაკარგები იწყება საიმპორტო ბაჟის და საბაჟო ტარიფების კვლევით. ბაჟი სახელმწიფოს მიერ დადგენილი გადასახადია, რომელსაც კრეფენ საქონლის მიერ ქვეყნის საზღვრის გადაკვეთისას. იმპორტზე საბაჟო ტარიფების დაწესებით სახელმწიფოს რთულ სიტოაცაში უხდება მოქმედება. უცხოურ საქონელზე ფასების ხელოვნური ზრდით, მართალია იგი იცავს შიდა ბაზარს კონკურენციისაგან, მაგრამ ქმის არაბუნებრივ მდგომარეობას და ხელს უშლის საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობას. არაკონკურენტულ პირობებეში ეროვნული წარმოების განვითარება იწვევს მისი დონის ჩამორჩენას, როგორც მეცნერულად ასევე ტექნოლოგიურად. გარდა ამისა, ასეთ შედეგებს თან ახლავს უკუქმედება იმ ქვეყნების მხრიდან, რომელთა

ფირმები დაზარალდნენ პროტექციონიზმისაგან. მართალია საბაჟო გადასახადები ზდრიან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს, მაგრამ შესაძლოა ეს პოტექციონისტული ქმედება ქვეყანას უფრო ძვირი დაუჯდეს. ასე რომ ყველაზე ეფექტიანია საბაჟო ტარიფების მოქნილი რეგულირებაა, რომელიც უზრუნველყოფს, როგორც შიდა ბაზრის დაცვას ასევე პროტექციონიზმის შერბილებას.

საბაჟო ტარიფის შემოღებისას, პირველ ყოვლისა, იმპორტული საქონლის მომხმარებელი იჩაგრება. მომხმარებელი მას სამამულო ნაწარმთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს. ამ საქონლის ბაჟით დაბეგვრიასს მომხმარებელი იძულებულია მეტი ფული დახარჯოს მის შესაძენად. ან უფრო ნაკლები რაოდენობა იყიდოს. ასე, რომ იმპორტის შეზღუდვით საბაჟო ტარიფს სამომხმარებლო შესაძლებლობების გაუარესებამდე მივყავართ.

ტარიფი იწვევს არა მარტო იმპორტული ნაკეთობების, არამედ სამამულო საქონლის გაძვირებასაც. ტარიფის შემოღებით მომხმარებელმა შესაძლოა ცადოს თავი აარიდოს ზედმეტი თანხის გადახდას და გადავა ადგილობრივ წარმოებაზე. ამ დროს კი მომხმარებელი იძულებეულია მაღალი ფასი იხადოს, როგორც სამამულო ისე იმპორტულ საქონელში.

დავუშვათ რომელიმე ქვეყანამ გადაწყვიტა შეოიღოს მცირე ბაჟი იპორტზე, ეს გაზრდის ფასს, რომელიც ქვეყნის მომხმარებელმა უნდა გადაუხადოს უცხოელ მიმწოდებელს. თუ უცხოელი მწარმოებელი შეძლებს აწარმოებს საქონელს დაბალი ზღვრული ხარჯებით, რადგან თავიდან აიცილოს საქონლის გასაღების შემცირება. ქვეყანა იგებს თუმცა მომხმარებელი ვერ რჩება მოგებული. და ყველაფერთან ერთად ზარალდება ეკონომიკის ეფექტიანობა.

ჩვენი საიმპორტო ტარიფის საპასუხოდ შეიძლება სხვა ქვეყნებმა გზა გადაუღობონ იმპორტს. ამის ნათელი მაგალითია ამერიკა და აზიური ქვეყნები. „80-იანი წლების პირველ ნახევარში შეერთებული შტატების მიერ აზიურ ფოლადსა და ბამბაზე ტარიფების აწევის საპასუხოდ ჩინეთმა, იაპონიამ და სხვა აზიურმა სახელმწიფოებმა შეამცირეს ამერიკული სოიოს მარცვლისა და სხვა სასოფლო სამეორნეო

პროდუქტების იმპორტი. ამერიკელმა ფერმერებმა უკამყოფილება გამოხატეს. ისინი მსხვერპლად შეეწირნენ მრეწველობაში სამუშაო ადგილების შენარჩუნებას."[10] შეიძლება ამ ნაბიჯემბმა იმდენად სერიოზულ შედეგებაადე მიგვიყვანოს, რომ გამოიწვიოს სავაჭრო ომი. ამით კი ბუნებრივია ორივე მხარე სერიოზულად დაზარალდება.

პროტექციონიზმი ასევე აფერხებს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს. ბევრი მკვლევარი თვლის, რომ მწარმოებელთა ნებისმეიერი დაცვა აქვეითებს ტექნოლოგიური სრულყოფის ძიებას.

ტარიფს ასევე შუეუძლია გავლენა მოახდინოს ვალუტის კურსზე. არაერთი მაგალითით ავღნიშნე, რომ ტარიფს მივყავართ იმპორტის შემცირებამდე. ეს ნიშნავს, რომ ასევე შემცირდება იმპორტული საქონლის შესაძენად აუცილებელი უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის სიდიდეც. თუ უცხოელებს ჩვენი ექსპორტის შესასყიდლად თითოეულ დოლარში თავიაანთი ვალუტით მეტი თანხის გადახდა მოუწევთ, ექსპორტზე მოთხოვნა შემცირდება და ჩვენი საექსპორტო საქონლის ფასიც შეიძლება შემცირდეს.

პროტექციონიზმი ქმნის მონოპოლიის საფრთხეს, სადაც ძალიან მაღალი ფასები შეიძლება დადგინდეს. მაშინ, როდესაც უცხოელი მწარმოებლები ზრდიან ხარისხს და აკლებენ ფასს, „დაცული" ბაზრები პირიქით მოქმედებენ. იზრდება ფასი და ეცემა ხარისხი, რადგან არ არსებობს კონკურენცია. მეტიც, ინდუსტრია მთლიანად დამოკიდებული ხდება სამთავრობო დახმარებებზე, რაც დღეს ისედაც პრობლემაა საქართველოში.

საიმპორტო ტარიფი უსათუოდ ამცირებს ერის კეთილდღეობას, მომხმარებელი კარგავს უფრო მეტს, ვიდრე ღებულობენ მწარმოებლები და სახელმწიფო. ზოგადად ტარიფის გავლენა მწარმოებელთა ინტერესებზე უფრო ნათელი ხდება დამცავი ტარიფის ცნების შემოღებით. საერთაშორისო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების

[10] პიტერ ჰ. ლინდერტი, საერთაშორისო ეკონომიკა, "მთარგმნ." ვახტანგ ვეფხვაძე, ირინა გოგორიშვილი, თბილისი, გამომც. „სიახლე," 2011, გვ 102

აუცილებელობის მიზეზებია: ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიციების განმტკიცება, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა, უმუშევრობის შემცირება, ახალი დარგების დაცვა და სხვა. ამიტომ ტარიფის შემოღება ზოგ შემთხვევაში გამართლებულია.

## 2.2 პროტექციონიზმის პოზიტიური მახასიათებლები

ხშირად პროტექციონიზმის მომხრეები ამბობენ, რომ ეს ნაბიჯები საჭიროა მომხმარებლის დასაცავად, რომ არ იყიდონ დაბალი ხარისხის საქონელი და ამავე დროს დასაქმდეს მეტი ადამიანი სოფლის მეურნეობის სექტორში. თავისუფალი ბაზრის ერთ-ერთი მიზანია მოგვცეს საქონელი და მომსახურება დაბალ ფასებში, რაც კონკურენციის გარეშე ვერ მიიღწევა. ან თუ მიიღწევა ეს ძალიან ძვირად უჯდება ქვეყანას. კონკურენციის არ არსებობის გამო, კნინდება და არაეფექტიანი ხდება ეროვნული მეურნეობა, იზრდება მომხმარებლის დანახარჯები საქონლის შეძენაზე მსოფლიო ბაზრების ხელმიუწვდომლობის გამო.

თავისუფალი ვაჭრობის იდეა დაფუძნებულია ქვეყანათა შორის საქონლის ნაკადების მოძრაობაზე და სხვადასხვა ბარიერების ლიკვიდაციაზე. მიუხედავად ამისა, ყველა ქვეყანაში საგარეო ვაჭრობის რეგულირების სხვადასხვა პოლიტიკაა. საგარეო ვაჭრობის რეგულირების ფორმები უამრავია. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო პროტექციონულ ნაბიჯებს დგავს გამიზნულად. განვიხილოთ თითოეული რეგულირების ფორმები, რადგან უკეთ დავინახოთ მათი შემოღების საჭოროებები.

სამამულო წარმოების განვითარების სტიმულირებისათვის ტარიფის გამოყენება საჭირო და აუცილებელია, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა დარგების დაცვითვის. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ტარიფის დროებითი შემოღება გამართებულია, რადგან იგი აკავებს თანამედროვე სამრეწველო პროდუქციის იმპორტს, მანამ, სანამ ახალწამოწყებული დარგი გარკვეულ გამოცდილებას არ დააგროვებს და მანამ, სანამ წარმოების ხარჯები იმ დონემდე შემცირდება, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს იმპორტულ პროდუქციას. „ომისშემდგომ იაპონიაში ეროვნული

ავტომობილმშენებლობის მხარდასაჭერად იყენებდნენ როგორც საიმპორტო ბაჟებს, ისე დაცვის სხვა ფორმებსაც. ამან იაპონიას საშუალება მისცა მიეღწია მაღალი კონკურენტუნარიანობისთვის და გაეუქმებინაა სავაჭრო ბარიერები, რომელიც უკვე აღარ სჭირდებოდა. ახლა ეს ქვეყანა კვლავ იყენებს საბაჟო „შლაგბაუმებს“ თავისი ახალგაზრდა კომპიუტერული მრეწველობის დასაცავად.“[11]

არასატარიფო რეგულირების გავრცელებური მექანიზმია საგარეო ვაჭრობის შეზღუდვა - კვოტა. კვოტა თავის მხრივ იყოფა: საექსპორტო და საიმპორტო კვოტებად. საექსპორტო კვოტები განკუთვნილია ნედლეულების გატანის შესაზღუდად, ადგილზე მისი გადამუშავების მიზნით. ექსპორტი ასევე შეიძლება შეიზღუდოს შიდა ბაზარზე მოცემული საქონლის ფასის ზრდის გამოსარიცხად. ასევე სამხედრო-პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. არასატარიფო რეგულირების საიმპორტო კვოტას სახელმწიფო ძირითადად აწესებს სავაჭრო ბალანსის, შიდა ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების რეგულირების და დისკრიმინაციული სავაჭრო პოლიტიკისგან თავდაცვის მიზნით. ამ მექანიზმის შემოღების შემთხვევაში იმპორტის შეზღუდვის ხარჯზე იზრდება ანალოგიური ადგილობრივი საქონლის შიდა ფასები, ასევე იზრდება შიდა წარმოება. კვოტების სპეციფიკური სახეა ემბარგო, რომელიც გულისხმობს ვაჭრობის სრულ შეწყვეტას. ემბარგო გამოიყენება გარკვეულ ქვეყანაში მისაწოდებელ ყველა საქონელზე. ემბარგო ძირითადად გამოიყენება პოლიტიკური მიზნით, მაგრამ იგი შეიძლება ეკონომიკურ მიზნებსაც ემსახურებოდეს.

ადგილობრივი წამრმოების დასაცავად, სახელმწიფო იყენებს ასეევე ექსპორტის სუბსიდეირებას. ექსპორტის წახალისების ნაწილია სუბსიდირების პოლიტიკა. ის ძირითადად მოიცავს ექსპორტისთვის საჭირო იმპორტული წარმოების ფაქტორებზე გადასახადების უკან დაბრუნებას, საექსპორტო პროდუქტებისთვის საგადასახდო სტიმულირებას და პირდაპირი ფინანსური დახმარებების გაცემას იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ექსპორტს ეწევიან. ფინანსური სტიმულირების მექანიზმების მიზანია ექსპორტთან დაკავშირებული ფინანსური სირთულეების დაფინანსება: მაგალითად,

[11] პიტერ ჰ. ლინდერტი, საერთაშორისო ეკონომიკა, “მთარგმნ.“ ვახტანგ ვეფხვაძე, ირინა გოგორიშვილი, თბილისი, გამომც. „სიახლე“, 2011, გვ 107

ექსპორტის დაკრედიტება ან ექსპორტთან დაკავშირებული საქმიანობის დაზღვევა და სხვაა. ექსპორტის სუბსიდირების პოლიტიკის მაგალითია ავსტრალიის საგრანტო პროგრამა ბაზრების განვითარებისთვის, რომელიც მოიცავს გრანტებს შემდეგი მიმართულებებისთვის: მარკეტინგული ვიზიტები, კომუნიკაციები და რეკლამები, სავაჭრო მისიები და ა.შ.

ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადგილობრივი წამოების დასაცავად იმპორტის ლიცენზირებას. იმპორტის ლიცენზირება გულისხმობს მოითხოვოს ქვეყანამ მთელი რიგი დოკუმენტები შემოტანილ პროდუქციაზე. ეს დოკუმენტები შეიძლება მოიცავდეს იმას თუ, როგორაა პროდუქცი მოყვანილი, წარმოებული, შენახული. ან მაგალითად აქვს თუ არა მწარმოებელ ფირმას სათანადო გამოცდილება კონკრეტული პრიდუქციის წარმოებისათვის. ეს ყველაფერი კეთდება, როგორც ადგილობრივი წარმოების ასევე მოსახლეობის დასაცავად.

სახელმწიფო სავაჭრო პოლიტიკის შემდეგი მიმართულებაა დემპინგი. სახელმწიფოების უმეტესობა ზარალდება დემპინგური ფასებით და ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად შემოაქვთ ადტიდემპინგური გადასახადი, რომელიც იცავს შიდა ბაზარს და აწესრიგებს საგარეო ვაჭრობას. დემპინგი არის საერთაშორისო დისკრიმინაცია ფასებში, რომლის დროსაც ექსპორტიორი ფირმა თავის საქონელს რომელიმე ქვეყნის ბაზარზე უფრო იაფად ყიდის ვიდრე სამამულო ბაზარზე. დემპინგი არის ორი სახის. ყაჩაღური დემპინგი არის დაბალი ფასების დროებითი დაწესება, ბაზრიდან კონკურენტების გამოსადევნად. მუდმივი დემპინგი კი განუსაზღვრელი დროით შეიძლება გაგრძელდეს. მაგალითად: „ ფართოდ გახმაურდა იაპონიის სირმა „სონის“ ამბავი 1970 წელს. გამოძიებამ აჩვენა, რომ „სონი“ იაპონიაში დამზადებულ ტელევიზორებს ამერიკულ ბაზარზე 180 დოლარად ყიდდა, მასინ როდესაც იაპონელი მომხმარებელი იმავე მოდელში 333 დილარს იხდიდნენ.“[12]

პროტექციონიზმის საბოლოოდ შეჩერებას კიდევს ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა აქვს - მოსახლეობის იმპორტულ საქონელზე დამოკიდებულება.

[12] პიტერ ჰ. ლინდერტი, საერთაშორისო ეკონომიკა, “მთარგმნ.“ ვახტანგ ვეფხვაძე, ირინა გოგორიშვილი, თბილისი, გამომც. „სიახლე“, 2011, გვ 123

აღსანიშნავია რომ 2006-2008 წლებში სხვდასხვა ქვეყნებში იმპორტულ სამომხმარებლო საქონელზე დახარჯული თანხები ბერვად აღემატება მაგალითად 1990 წლისას. ადამიანებს მოთხოვნილება პროდუქტის უფრო ფართო სპექტრზე გაუჩდათ, რომელიც ხშირად ადგილობრივ პროდუქტზე უფრო იაფია. სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ იმპორტული საქონელი უფრო მოთხოვნადია.

სახელმწიფო მოხელეებს  არაერთი მოსაზდრება მოყავთ საიმპორტო კვოტებისა და სხვა არასატარიფო ბარიერების სასარგებლოდ. სხვადასხვა არგუმენტებით ამართლებენ პროტექციონულ ნაბიჯებს, რომლებიც ხშირად გადაჭარბებულიცა. ყველაფერს კი მიაწერენ ადგილობრივი ბაზრისა და წამოების დაცვას. თუმცა ხშირად ეს ასე არაა. სწორედ ამიტომ, საჭიროა საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების ჩარევა და კანონით ამ ნაბიჯების დარეგულირება.

## 2.3 მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის როლი ეკონომიკური პროტექციონიზმის პოლიტოკაში

საერთაშორისო ვაჭრობა უდიდეს გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე, ვინაიდან ქმნის მჭიდრო საქმიან კავშირებს ქვეყნებს შორის. იგი მშვიდობის ფაქტორია. დღეს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმულია ყველა ქვეყანა, ვინაიდან ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს  მხოლოდ საკუთარი წარმოების პროდუქციით უზრუნველყოს თავისი თავი. შრომის საერთაშორისო დანაწილების პირობებში ქვეყანას ყოველთვის სჭირდება გარკვეული პროდუქციის იმპორტირება, ხოლო საიმპორტო ხარჯების დაფარვა შესაძლებელია ექსპორტიდან მიღებული შემოსავლით. რაც უფრო დიდია

ქვეყანა, მით უფრო დიდი ნაწილი მისი ეროვნული პროდუქციისა არის ჩაბმული საერთაშორისო ვაჭრობაში.

საერთაშორისო ვაჭრობის მზარდმა ქსელმა თანდათან ჩაითრია სახელმწიფო ეკონომიკები ერთიან ურთიერთდამოკიდებულების სისტემაში, რასაც მოჰყვა სპეკულაცია იმის შესახებ, რომ იწყება მჭიდროდ ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკის ერა, რომელსაც დადებითზე მეტი უარყოფითის მოტანა შეუძლია ეროვნული ეკონომიკისთვის.

ვაჭრობის  სისტემა მოითხოვს, რომ ქვეყნებმა განახორციელონ სამართლიანი და დისკრიმინაციისგან თავისუფალი შეღწევა ერთმანეთის ბაზრებზე. ამისათვის ქვეყნები უნდა შეეცადონ შეუქმნან სხვა ქვეყნებს ხელსაყრელი პირობები თავის ბაზრებზე შესაღწევად - შეამცირონ თავიანთი სავაჭრო ბარიერები. ვაჭრობის ლიბერალიზაციისას ძირითადი ყურადღება ეთმობა ტარიფებისა და გარკვეული არასატარიფო ბარიერების შემცირებას. ყველა ქვეყნის სავაჭრო კანონმდებლობა და სავაჭრო პრაქტიკა უნდა იყოს გამჭვირვალე, ანუ, სხვაგვარად, ყველამ უნდა იცოდეს წესები და ყველას უნდა ჰქონდეს თანაბარი შანსები კონკურენციაში მონაწილეობისათვის.

მსოფლიო ეკონომიკაში საგარეო ვაჭრობის მნიშვნელობა განპირობებულია გლობალიზაციის ობიექტური პროცესით. ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების ლიბერალიზაციამ, არასატარიფო ბარიერების შემცირებამ, შემდგომ პროტექციონულმა ნაბიჯემბმა საჭირო გახადა მისი მარეგულირებელი ორგანიზაციის შექმნა კერძოდ კი WTO-ს შექმნა. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია შეიქმნა 1995 წელს იმ მიზნით რომ არეგულიროს ეკონომიკური ურთიერთკავშირები მონაწილე ქვეყნებს შორის.WTO  დაარსდა 1995 წლის 1 იანვარს ქ. ჟენევაში, შვეიცარიაში. დღესდღეობით იგი 148 წევრ ქვეყანას ითვლის, რომელთა წილად მოდის საერთაშორისო ვაჭრობის 95 პროცენტზე მეტი. ის ახორციელებს ვაჭრობაში მიღებულ შეთანხმებებს და ეროვნული სავაჭრო პოლიტიკის მონიტორინგს, აღრმავებს თანამშრომლობას საერთაშორისო სპეციალიზებულ ორგანიზაციებთან და სხვა.

მსოფლიო სავაჭრო ორგანოზაციას აქვს სამი ძირითადი მიზანი:

- ხელი შეუწყოს ვაჭრობას;
- მიაღწიოს თანდათანობით ლიბერალიზაციას მოლაპარაკებების გზით;
- დანერგოს დავების სამართლიანი მოგვარების მექანიზმები.
- ებრძოლოს პროტექციონიზმს.

WTO-ს მმართველ ორგანოებს, გააჩნია სამი იერარქიული დონე.




როგორც ვნახეთ ზემოთაღნიშნულიდან პროტექციონიზმი ზოგიერთ ქვეყანაში წინა პლანზე იწევა. პროტექციონიზმი აზარალებს გლობალურ ზრდას და აწესებს არაკონკურენციულ მრეწველობას. პრორექციონიზმის არის მოკლევადიანი საშუალება იმ პრობლემების მოსაგავრებლად, რომელიც საკმაოდ გრძელვადიანია. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია მოუწედებს ქვეყნებს თავი შეიკავონ პროტექციონისტული რეფორმების პოლიტიკისაგან.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ამზადებს წესებს, რომელიც დაეხმარება ქვეყნებს ღარიბ მეზობელ ქვეყნებთან დავების შეწყვეტაში და თანამშრომლობის გაძლიერებაში. WTO-ს მიზანია ასევე ტარიფებისა და კვოტების შემცირება. რომელიც

აბრკოლებს თავისუფალ და პატიოსან ვაჭრობას. WTO-ს მიზანია საერთასორისო ბიზნესში ჩაბმული ქვეყნების ეროვნული ეკონომიკისა და ბიზნესის უკეთ განვითარებისათვის ვაჭრობა გახდეს მდგრადი. წერტილი უნდა დაესვას დამახინჯებული თარიფებისა და სუბსიდეიების შემოღებას.

1996 წელს მსო-ში პირველი საჩივარი შევიდა და ის სერიოზული გამოწვევის წინაშე დადგა.ბრაზილია და ვენესუელა ამერიკის შერთებულ შტატებს უჩიოდნენ, რადგან შტატებმა 1990 წელს გარემოს დაცვის სააგენტოს რეგულაციების შედეგად აუკრძალეს ბრაზილიასა და ვენესუელას ნავთობის იმპორტი, რადგან ისინი ვერ აკმაყოფილებდნენ გარემოს დაბინძურებისგან დაცვის რეგულაციებს. ურთიერთობა ისე დაიძაბა, რომ მსო ში ამერიკის წარმომადგენელმა ჯეიმს ბაკუსმა განაცხადა:“ამერიკის გარეშე მსო იქნება სუსტი, ის გადაიქცევა კომერციულ ერთალიგად, რის გამოც ორგანიზაცია რეალურად ვერ შეძლებს ვაჭრობის წესების შემოღებასა და ეფექტურად გავრცელებას“. მიუხედავად ამ პრობლემებისა შეიძლება ითქვას, რომ მსო-მ გამოცდა ჩააბარა და განაცხადა, რომ რეგულაციები ეწინააღმდეგებოდა ფუნდამენტურ სავაჭრო პრინციპებს და შტატებს უნდა გაეუქმებინა ის.

ფაქტია, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წერების შესაბამისად, სახელმწიფოთა შორის სავაჭრო თანამშრომლობას საფუძვლად უდევს ქვეყნის უპირატესი ხელშეწყობის პრინციპი, რომელიც გულისხმობს, რომ ერთი ქვეყნის მიერ მეორე მონაწილე ქვეყნისათვის მინიჭებული თითოეული საბაჟო შეღავათი ავტომატურად ვრცელდება ამ შეთანხმებაში მონაწილე ყველა ქვეყანაზე. შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ეს არის, სამართლებრივი დოკუმენრების ერთობლიობა. ამ დოკუმენტებში თავმოყრილია მთავრობათა უფლება მოვალეობები ვაჭრობის სფეროში.

რაც შეეხება მსოფლო სავაჭრო ორგანიზაციის წესებს კონკურენციის სფეროში, მსო მთლიანად არ ეყრდნობა ღია კონკურენციის პირობებს. მისთვის დასაშვებია სატარიფო და არასატარიფო რეგულირების მეთოდების გამოყენება, მათ შორის

ანტიდენპინგური და საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელება, მათი გამოყენების მკაცრი რეგლამენტაციის პირობებში, რაც არ ისახავს მიზნად კონკურენციის შეზღუდვას. ზოგადად ეროვნული მრეწველობის დაცვის მიზნით იმ სავაჭრო დათმობების გაუქმების ან მოქმედების შეჩერების საშუალებას იძლევა, რომლებიც შემოღებული იქნა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია ითვალისწინებს ზომების ორ კატეგორიას. პირველი, დროებითი ზომები- შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ გარკვეული პირობების არსებობისას, ხოლო მეორე- მუდმივი ზომები, წარმოადგენენ გამონაკლისებს ვმო-ს მიმართ ნაკისრი ვალდებულებებიდან.

შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ ანტიმონოპოლიური პოლიტიკა განეკუთვნება შიდა ბაზრის პოლიტიკას, რომელიც ეროვნული კანონმდებლობით რეგულირდება, ხოლო რაც შეეხება მსო-ში გაწევრიანებული ქვეყნების ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათი რეგულირება ხორციელდება საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე. ამდენად არაა გამორიცხული, რომ წარმოიქმნას კონფლიქტური სიტუაციები. სწორედ ამიტომ ბოლო წლებში აქტიურად განიხილება კონკურიენციის საერთაშორისო წესების შემოღების, ამოქმედებისა და მსო-ს საქმიანობის სფეროში მათი ჩართვის საკითხები.

მეცნიერთა აზრით, მიუხედავად ზოგიერთი მიღწევებისა, მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციის პროცესი დაკავშირებულია დიდ სიძნელეებთან. ჯერ კიდევ მაღალია სავაჭრო ბარიერები, განსაკუთრებით ისეთ სექტორებში, როგორიცაა მომსახურების წარმოება და სოფლის მეურნეობა. ურუგვაის რაუნდის დროს ქვეყნები შეეცადნენ გადაეწყვიტათ მომსახურებისა და ვაჭრობის ზოგიერთი საკითხი. მაგრამ მაინც დარჩა სავაჭრო ბარიერები. მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში მიმდინარე სწრაფი ცვლილებები წარმოშობს ახალ პრობლემებს ვაჭრობის დარგში. მაგალითად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ამერიკელ ექსპორტიორთა დიდ შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ ევროპული წესები კრძალავენ გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენებას. 1998 წელს მსოფლიო სავაჭრო

ორგანიზაციის წევრ ქვეყნების მინისტრებმა გამოაქვეყნეს განცხადება იმის თაობაზე, რომ ქვეყნებმა არ უნდა შეუშალონ ხელი ელექტრონული ვაჭრობის წარმოებას ვაჭრობისა და მომსახურების ელექტრონულ გადაგზავნაზე ბაჟის დაწესებით. მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ გადაუჭრელია.

## თავი III. ეკონომიკური პროტექციონიზმი საქართველოს რეალობაში

## 3.1 საქართველო და WTO

1995 წელს მსო-ის შექნის შემდეგ, დღის წესრიგში დადგა ამ ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების საკითხი. ეს პროცესი წარმატებით დასრულდა 1999 წელს. 1999 წლის 6 ოქტომბერს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გენერალურმა საბჭომ ხელი მოაწერა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დამფუძნებელ, მარაკეშის შეთანხმებასთან, საქართველოს მიერთების ოქმს. 2000 წლის 20 აპრილს საქართველოს პარლამენტმა რატიფიკაცია გაუკეთა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების ოქმს და 2000 წლის 14 ივნისიდან საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის 137-ე სრულუფლებიანი წევრი გახდა.

WTO-ში გაწევრიანების შედეგად:

- გაძლიერდა საქართველოს ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში
- WTO-ს შეთანხმებებთან მიერთებით, საქართველოს საკანონმდებლო ბაზა უფრო ჰარმონიზებული გახდა ევროპულთან
- საერთაშორისო ბაზარზე გაუმჯობესდა პირობები საქართველოს საექსპორტო პროდუქციისთვის.
- საქართველომ მიიღო საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის სფეროში წამოჭრილი სადავო საკითხების სამართლიანი და ობიექტური გადაჭრის საშუალება
- გაუმჯობესდა გარემო უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის
- საქართველომ მიიღო სრულფასოვანი წევრის ხმა WTO-ს ორმხრივ და მრავალმხრივ მოლაპარაკებებში მონაწილეობისთვის.

მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის ამ ორგანიზაციაში გაწევრიანება მომგებიანად ითვლება, რადგან დისკრიმინაციისგან დაცვა და ეროვნულ თუ იმპორტირებულ საქონელზე თანაბარი გადასახადების დაწესება ხელს უწყობს, როგორც ამ ქვეყნის მომხმარებლის მყიდველობითუნარიანობას, ასევე მეწარმეებს, რომლებსაც შანსი ეძლევათ თავისი პროდუქცია ქვეყნის გარეთაც გაიტანონ.

შემცირებული ტარიფების სანაცვლოდ, მოგებას ქვეყნები გაზრდილი ვაჭრობით იღებენ. ბარიერების შემცირებაც ისეა გათვალისწინებული, რომ გაუმჯობესდეს შიდა მეწარმეობა. მსო-ს მიზანს წარმოადგენს ხელშეკრულებების საფუძველზე ამ ორგანიზაციის წევრთა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების რეგულეირება. მისი ძირითადი ამოცანაა საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია. მსო-მ სამართლიანობისა და გამჭირვალეობის გზით ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკური აღმავლობის პროცეს და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას.

საერთაშორისო საფინანსო-სავაჭრო ორგანიზაციებთან ინტენსიური თანამშრომლობა, მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოს წევრობა მნიშვნელოვანი მიღწევაა გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში, ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციის კუთხით. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოს წევრობის შედეგად გამყარდა საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში საქართველოს პოზიციები და ქვეყანა უფრო სანდო და მიმზიდველი გახდა, როგორც სავაჭრო პარტნიორი. საქართველო აქტიურად იქნება ჩართული, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში მიმდინარე სავაჭრო მოლაპარაკებებში, რომელთა ძირითადი მიზანია ვაჭრობის მეტი ლიბერალიზაცია, სავაჭრო ბარიერების მინიმუმამდე შემცირების გზით.

საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ განვიხილოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი. პირველ რიგში ვნახოთ ანიჭებს თუ არა მსო-ში გაწევრიანება უპირატესობას ქვეყანას და არის თუ არა ეს მოვლენა პოზიტიური?

ერთი მხრივ  საკამათო არ უნდა იყოს, რომ ქვეყნის ეკონომიკის ინტეგრაცია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ხელს შეუწყობს ეროვნული ეკონომიკის განვითარებას, კერძოდ დაიცვას საკუთარი მეურნეობა გარეშე ძალების დისკრიმინაციული ზემოქმედებისაგან, რაც გლობალიზაციის პროცესში ძალზედ მნიშვნელოვანია. ქვეყნის წარმოებული პროდუქცია რეალურად შევა ევროკავშირის

ბაზრებზე შეღავათიანი პირობებით. შეიძლება ითქვას, რომ გარდამავალი პერიოდის ეკონომიკისათვის ეს ძლიერი მხარდაჭერაა. საერთაშორისო დავები შესაძლებელია მოგვარდეს მსო-ს კომიტეტების მეშვეობით. ასევე შეიქმნება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებთან ერთობლივი საქმიანობის ხელშემწყობი პირობები.

მეორე მხრივ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობა, საქართველოს ავალდებულებს უზრუნველყოს საკუთარი საკანონმდებლობის თანხვედრა საერთაშორისო საკანონმდებლო ნორმებთან, ამასთან ამოქმედდა ორმხრივი ხელშეკრულების ფაქტორი, რაც იმას ნიშნავს რომ საქართველო მიიღებს უპირატესობას მსო-ს სხვა წევრ ქვეყნებთან.

გაწევრიანების შემდეგ შეიქნმა ხელსაყრელი პირობები ექსპორტ-იმპორტის დივერსიფიკაციისათვის. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა ისაა, რომ სახელმწიფოს ეძლევა რეალური საშუალება განახორციელოს გრძელვადიანი, მსოფლიო ეკონომიკურ განვითარებასთან ხელშემწყობი სტარეგია, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გარდამავალი ქვეყნის სოცილურ-ეკონომიკური პოლიტიკის სწორად განსაზღვირსათვის.

ეხლა განვიხილოთ  როგორია მსო-ში შესვლით საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებები. ისევე როგორც ყველა წევრმა ქვეყანამ, საქართველომაც აიღო მსო-ს მოთხოვნათა შესასრულებლად გარკვეული პასუხისმგებლობები და ამასთან ერთად ვალდებულებები მსო-ს წევრ ქვეყნებთან. საქართველოსათვის განისაზღვრა სატარიფო განაკვეთები მაგალითად: ,, საქართველოს საშუალო ტარიფები სასოფლო სამურენეო პროდუქციაზე გაწევრიანებიდან 5 წლის შემდეგ შეადგენს 15.6 %, გაწევრიანებისას - 16.5 % (მაშინ, როცა მოქმედი ტარიფი 12 % იყო) შესაბამისად, საქართველოს საშუალო ტარიფები სამრეწველო პროდუქციაზე შეადგენს 8.2 %, 10.1 % და 10 %''.[13]

[13] ნოდარ ჭითინავა, გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, თბილისი 2001 გვ. 151

ამასთან სათანადო დასაბუთების გარეშე სახელმწიფოს არ შეუძლია საქონლის ამა თუ იმ პროდუქციაზე სატარიფო დონე გაზარდოს სხვა წევრ ქვეყნებთან შეუთანხმებლად. სატარიფო დონის გაზრდა, მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ იგი ითავლისწინებს ქვეყნის საგადამხდელო ბალანისის გაუმჯობესებას.

განსაკუთრებული უპირატესობისაა მსო წევრი სახელმწიფოს უფლება ,, სექტორული ინიციატივის'' შესახებ. შეთანხმების შედეგად მთელ რიგ სამრეწველო პროდუქციაზე (ფარმაცევტული და ქიმიური ნაწარმი, საინფორმაციო ტექნოლოგიების პროდუქცია, მანქანა-მოწყობილებები და სხვა) გათვალიწინებულია ტარიფების შემცირება სექტორულ ინიციატივებზე მიერთების გზით, რაც შედის როგორც მომხმარებელთა, ისე მეწარმეთა ინტერესებში. ამ შემთხვევაში მომხმარებელს საშუალება ეძლევა მიიღოს ფართო ასორტიმენტის მაღალხარისხიანი იმპორტული საქონელი ხელმისაწვდომი ფასებით, მეწარმეს შეუძლია შემოიტანოს მისთვის საჭირო ნედლეული, ასევე ტექნოლოგიები, სხვადასხვა მოწყობილობები და ა.შ. მის მიერ წარმოებული პროსუქცია კი საბაჟო გადასახადების გარეშე გაიტანოს მსო-ს წევრი ქვეყნების ბაზრებზე.

მაგალითად, ,,სამოქალაქო ავიატექნიკით ვაჭრობის შესახებ'' შეთანხმებით საქრთველოს მხარეს შეუძლია საბაჟო გადასახადების გარეშე შეიძინოს თანამედროვე საჰაერო ხომალდები. ასევე საბაჟო გადასახადების გარეშე შემოიტანოს თვითმფრინავების წარმოებისათვის საჭირო პროდუქცია.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობა საქართველოს ავალდებულებს უზრუნველყოს საპრივატიზაციო პროცესების გამჭირვალობა და მსო-ს წევრებისათვის ეკონომიკრი და სავაჭრო რეჟიმის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. იგი ვალდებულია კანონონმდებლობით სასამართლოში უზრუნველყოს ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლების დაცვა.

ვაჭრობასთან დაკავშირებული კანონები, ნორმატიული აქტები, მოსაკრებლები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს სავაჭრო ორგანიზაციის წინაშე აღებულ ვალდებულებებთან. მაგალითად: საქართველოში იმპორტირებულ და შიდა

წარმოებულ პროდუქციაზე, თამბაქოსა და ალკოჰოლური პროდუქტების ჩათვლით, ერთნაირი სააქციზო გადასახადები იქნება გამოყენებული. ასევე ლიცენზირება, კვოტა, აკრძალვა და სხავ შეზღუდვები, რომლის გამოყებებას სახელმწიფო მიზანშეწონილად თვლის, უნდა შეესაბამებოდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნებს.

მნიშვნელოვანია საქართველოს ვალდებულებები მომსახურებით ვაჭრობაში. საქართველომ შეინარჩუნა უფლება, გარკვეული შეზღუდვები დააწესოს ტრანსპორტის, მშენებლობის და სადაზღვეო სფეროებში. შეზრუდვების შემოღების შესახებ დასაბუთებას საფუძვლად უნდა დაედოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, თუ იგი ეხება ჯანმრთველობის დაცვას, სახელმწიფოს უსაფრთხოებას და სხვა.

მიღწეული იქნა შეთანხმება რომ მსო-ში გაწევრიანების შემდეგ საქართველოს მხარემ გაზარდოს საბაჟო ტარიფები სამრეწველო პროდუქტების ისეთ ჯგუფების იმპორტზე, როგორიცაა მარმარილო, გრანიტი და სხვა. ამ პროდუქციაზე 12%-იანი საბაჟო გადასახადი გაწევრიანების შემდგომ შეუძლია გაზარდოს 20 %-მდე. მსხვილ ფეხა რქოსანი საქონლის ან ცხვრის მთლიან ტყავზე 12% საბაჟო ტარიფი შეუძლია აწიოს 15 %-ზე, ხოლო შემდგომ 5 წლის მანძილზე იგი უნდა შემაციროს 10%-მდე.

საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის თვალსაზრისით, რაც უპირველეს ყოვლისა გამოიხატება ექპორტ-იმპორტის კვოტების გაუქმებით. საგარეო ვაჭრობის განვითარების მიზნით საქართველომ გააფორმა ხეშეკრულებები პარტნიორ ქვეყნებთან. მიუხედავად ამისა, საქართველოს მწვავე პრობლემად რჩება, იმპორტის მკვეთრად გამოხატული წინგამსწრები ზრდა, ექსპორტთან შედარებით. რაც საბოლოო ჯამში უარყოფით სავაჭრო ბალანსს იძლევა.

საქართველოს საგარეო საქონელბრუნვის დიდი ნაწილი დამოკიდებულია შემდეგ ქვეყნებზე: ყველაზე მსხვილი სავაჭროპარტნიორი რუსეთია, რომლის წილი საქართველოს მიერ დსთ-ს ქვეყნებში გატანილი მთელი პროდუქციის დაახლოებით 54%-ია. მიუხედევად იმისა, რომ მნიშვნელოვნად გაფართოვდა საქართველოს

საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული არეალი, ამას  არსებითი გარდატეხა არ გამოუწვევია სავაჭრო ბალანსის მგდომარეობაში. რუსეთთან და სხვა საბჭოთა რესპუბლიკის ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების მაღალი ხვედრითი წილი განპირობებულია არა მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობით, არამედ ეროვნულ წარმოებაში არსებული მოძველებული ტექნოლოგიებითაც, რაც მაღარ კონკურენტულ ბაზრებზე შეღწევის საშუალებას არ იძლევა, ამიტომ ექსპორტის განუვითარებლობაში მნიშვნელოვან როლს სამამულო ნაწარმის დაბალკონკურენტუნარიანობა ასრულებს, რადგან ეს პროდუქცია არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

ცხრილი- საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტრუქტურა 1996-2000 წლებში (%-ით)[14].

| | 1996 | 1997 | 1998 | 1999 | 2000 |
|---|---|---|---|---|---|
| საგარეო სავაჭრო ბრუნვა | | | | | |
| სულ | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |
| პარტნიორი ქვეყნები | | | | | |
| სულ | 70,9 | 75,1 | 74,6 | 75,5 | 74,3 |
| თურქეთი | 13,5 | 13,8 | 11,3 | 13,9 | 17,7 |
| რუსეთი | 21,9 | 17,9 | 21,4 | 20,2 | 15,4 |
| გერმანია | - | 7,5 | 7,8 | 8,0 | 8,4 |
| აშშ | 3,9 | 6,1 | 7,8 | 9,8 | 7,9 |

[14] თამაზ მაღლაკელიძე, ეკონომიკური უსაფრთხოება, თბილისი, გამომც. „სიახლე“, 2002 გვ. 180

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზერბაიჯანი | 12,6 | 11,8 | 19,8 | 7,8 | 7,8 |
| უკრაინა | 5,9 | 5,8 | 3,8 | 5,5 | 5,6 |
| შვეიცარია | - | - | - | - | 3,5 |
| გაერთ.სამეფო | 4,7 | 3,8 | 6,1 | 3,4 | 3,5 |
| იტალია | 3,9 | 3,8 | 3,4 | 3,3 | 3,2 |
| სომხეთი | 4,5 | 3,6 | 3,2 | 3,6 | 2,5 |
| სხვა ქვეყნები | 29,1 | 24,9 | 25,4 | 24,5 | 25,7 |

ეჭვგარეშეა, რომ დიდია სახელმწიფოს როლი საშიანო ბაზრის დაცვასა და ექსპორტ-იმპორტის რეგულირებაში. სამამულო წარმოების პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ქვეყნის საშიანო ბაზარზე ფასების რეგულირების მიზნით, გადაუდებელ ამოცანათ პროტექციონისტული პოლიტიკა მიგვაჩნია, რადგან ამ პოლიტიკამ უნდა შეასრულოს ბაზრის დაცვისა და მისი განვითარების როლი. ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს საბაჟო სისტემაში ექსპორტ-იმპორტის სფეროში არსებული ნეგატიური მახასიათებლების ლიკვიდაცია, კონტრაბანდის წინააღმდეგ ღონისძიებების გატარება, საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტად გამავალი ტვირთის კონტორლი. აღსანიშნავია, რომ საბაჟო სამსახურის გვერდის ავლით საქართველოში დიდი რაოდენობით შემოდის ნავთობპროდუქტები, ალკოჰოლიანი სასმელები, ფქვილი და ა.შ, რაც მკაცრ კონტროლს მოითხოვს.

საგარეო სავაჭრო პოლიტიკის საკითხების განხილვისას, გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ აუცილებელია იმ საქონლის სამამულო წარმოების მხარდაჭერა, რომლის შიდა მოხმარებაც მოცემულ მომენტში იმპორტით არის უზრუნველყოფილი. პროტექციონიზმის დამცავი მოსაზრებაა სამამულო წარმოების სტიმულირება.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს სუსტად განვითარებულ ქვეყნებში ტარიფის დროებითი შემოღება გამართლებულია, ვინაიდან ხელს უწყობს კონკრეტული სექტორის განვითარებას.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების ამაღლება დამოკიდებულია საშიანო და საგარეო ბაზრებზე ეროვნული ინტერესების გამოყენებაზე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, როდესაც ქვეყანა დაადგა განვითარების ახალ გზას, თუ როგორ იქნებიან დაცული ადგილობრივი მეწარმეები, რამდენად ამოქმედდება ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, რა ცვლილებები იქნება შეტანილი საგადასახადო კოდექსში, მოხდება თუ არა გადასახადების ლიბერალიზაცია, ორიენტირებული იქნება თუ არა სავალუტო პოლიტიკა საშიანო ბაზრის დაცვისა და ექსპორტის სტიმულირებისათვის და ა.შ. ეს ყველაფერი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საქართველოში ეკონომიკურ მდგომარეობას. მსოფლიოს მეურნეობაში საქართველოს ეკონომიკის ინტეგრაცია მოითხოვს ამ პროცესში სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას და საგარეო-სავჭრო ურთიერთობების გონივრულ რეგულირებას.

საინტერესოა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წინაშე საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების ფონზე, როგორია შიდა ბაზრის დაცვის მექანიზმი?

მსო-ს წევრ ქვეყნებს ,,დაცვითი ღონისძიებების'' გამოყენება შეუძლიათ იმ შემთხვევაში, თუ საქონლის იმპოტრი იმდენად გაიზარდა, რომ ზარალს აყენებს ადგილობრივ წარმოებას. დაცვითი ღონისძიებების მიღებამ უნდა დაიცვას ადგილობრივი მწარმოებლები და ხელი შეუწყოს კონკურენციის დონის ამაღლებას. აღსანიშნავია, რომ გარკვეული სახის იმპორტის შეზღუდვა დროებითია და იგი გაუქმდება მას შემდეგ როდესაც დასაბუთდება, რომ მიღწეულია სასურველი დონე.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის კანონმდებლობის მიხედვით დენპინგად ითვლება, როდესაც საქონელი იმპორტულ ქვეყანაში იყიდება წარმოების ხარჯებზე უფრო დაბალი ფასით, ან საქონელი იყიდება ისე დაბალ ფასად, რომ ზიანს აყენებს ეროვნულ წარმოებას. დაშვებულია საკონპენსაციო გადასახადების გამოყენება. ეს იმ

შემთხვევაში ხდება, როცა აუცილებელია სუბსიდირებული საქონლის იმპორტის ზეგავლენისაგან შიდა ბაზრის დაცვა.

აღსანიშნავია, რომ ნაკლებად განვითარებად ქვეყნებს, რომელთა მთლიანი ეროვნული პროდუქტი არ აღემატება 1000 აშშ დოლარს მოსახლეობის ერთ სულზე, უფლება აქვთ საექსპორტო სუფსიდიები გამოიყენონ. იმ შემთხვევაში თუ აღმოჩნდა, რომ ამ ქვეყნებმა რომელიმე სასაქონლო პოზიციაში მიაღწიეს საექსპერტო კონკურენტუნარიანობის დონეს, მაშინ ამ საქონლის მიმართ 8 წლის მანძილზე უნდა შეწყვიტონ საექსპერტო სუბსიდიებით სარგებლობა.

ზემოთ აღნიშნული ვალდებულებების შესაბამისად და მსო-ში საქართველოს ეკონომიკის ინტეგრირებით, ეროვნული მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლების ახალი ნიუანსები გამოვლინდა. უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ევალება თავისი საშინაო ბაზარი მსო-ს ქვეყნებისათვის დადგენილ ვადაში გახსნას.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ, საქართველო დადგა ახალი სავაჭრო ურთიერთობების წინაშე. აუცილებელი გახდა თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით, ინტეგრაციულ პროცესებში მონაწილეობით ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება. პარტნიორ სახელმწიფოებთან სავაჭრო ურთიერთობთა სისტემის სრულყოფა, საინვესტიციო აქტივობის ამაღლება და ა.შ.

აუცილებელია საბაჟო ტარიფებში სათანადო ცვლლებების შეტანა, რათა ტარიფების, როგორც მთავარი მარეგულირებელი ფაქტორის გამოყენება დროულად და მიზანშეწონილად მოხდეს. საქართველოში მოქმედებს სამი ტარიფი 0.5 და 12 %-იანი განაკვეთებით საქონლის საბაჟო ღირებულების მიმართ. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლით განისაზღვრა ბმული საბაჟო ტარიფების სისტემა 6000-მდე დასახელების საქონელზე. განსაზღვრული ტარიფი მაქსიმალური ზედა ზღვარია და ქვეყანას არ აქვს უფლება იგი უფრო მაღალი ტარიფით შეცვალოს. მსო-ში გაწევრიანებისას განისაზღვრა, რომ ტარიფების ზედა ზღვარი შეადგენს 30 %. აღსანიშნავია, რომ 12%-ზე ზევით ტარიფი მხოლოდ დაფიქსირებულია 213-ი სახეობის

საქონელზე. მაქსიმალური 30%-ანი ტარიფი შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ 12 დასახელების საქონელზე. მსო-ში გაწევრიანებისას აღებული ვალდებულებებით განისაზღვრა, რომ 2005 წლიდან მინიმალური ტარიფით დაიბეგრება 1667 დასახელების საქონელი.

სამეურნეო საქმიანოში, მითუმეტეს საგარეო ბაზარზე ურთიერთობების პროცესში, ეროვნული ეკონომიკის ინტერესების დაცვის მიზნით არსებული შეთანხმებების მიხედვით, შესაძლებელია ზემოქმედების სხვა ბერკეტების გამოყენებაც. მაგალითად, ანტიდენპინგური ზომები რაც მსოფიო სავაჭრო ორგანიზაციის საქმიანობის აღიარებული პრინციპებით არის განსაზღვრული.

საქართველო სხვა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მსგავსად, იძულებულია, მსო-ს წევრი განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებისაგან განსხვავებით გადაჭრას არა მარტო კონკურენციის დაცვის სამართლებრივი უზრუნველყოფის პრობლემები, არამედ კონკურენციული გარემოს ფორმირების საკითხიც.

ამდენად, რეალურად რომ მოხდეს მსო-ს წევრი ქვეყნების მხრიდან საქართველოს, როგორც თანასწორი პარტნიორის აღიარება, აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს საბაჟო წესებისა და მათი ადმინისტრირების, ინტელექტუალური საკუთრების უფლების და მსგავსი ბიზნეს გარემოს მომწესრიგებელი, სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა, რომლებიც გავლენას ახდენენ როგორც საქონლის, ასევე მომსახურების რეალიზაციაზე. საქართველომ აიღო ვალდებულება არ განეხორციელებინა ვაჭრობის დაცვის, ანტიდენპინგური და საკომპენსაციო ბაჟის დაკისრების ღონისძიებები, სანამ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები არ იქნებოდა ქვეყანაში მიღებული. ამჟამად საქართველოს არ გააჩნია ვაჭრობის რეპრესალიების (დაცვის, ანტიდენპინგური და საკონპენსაციო ბაჟის დაკისრების ღონისძიებები) მარეგულირებელი კანონმდებლობა. საქართველოში ამ ეტაპზე არ არსებობს შიდა სამართლოებრივი ბაზა, რომელიც დაარეგულირებს ანტიდენპინგურ და საკონპენსაციო ბაჟის დაკისრების ღონისძიებებს.

ნებისმიერ ქვეყანას, რომელსაც დამცავი პროცედურის შემოღება სურს, არ სჭირდება იმის მტკიცება, რომ იმპორტირებული პროდუქტი უსამართლო სუფსიდირებას იღებს ან დენპინგურია. უბრალოდ საკმარისია უფრო მარტივად მოხდეს იმის გარკვევა, რომ იპორტირებული პროდუქტი, კონკურენტი პროდუქციის ადგილობრის მწარმოებლებს აყენებს ზიანს ან ქმნის მისი მიყენების საშიშორებას. ასეთ შემთხვევაში ზიანის მიყენების სტანდარტიც უფრო მარტივად განისაზღვრება, ვიდერე ანტიდენპინგური პროცედურებისა და საკონპენსაციო ბაჟის შემთხვევებში გამოძიების ჩატარების დროს.

საქართველოში ანტიდენპინგური და საკონპენსაციო ბაჟის დაკისრების ღონიძიებების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის არ არსებობის მიუხედავად, შესაძლებელია სრულყოფილი საკონკურენციო პოლიტიკის განხორციელება მსო-ს დებულების ფარგლებში. აღნიშნული საკითხი მით უფრო აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახური გაუქმდა, რომელსაც მართალია პირდაპირ არ ევალებოდა მსო-ს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მექანიზმების აღსრულება, მაგრამ ქვეყანაში მოქმედი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შესაბამისად ის ახორციელებელდა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოვლენასა და აღკვეთას ქვეყნის კონკრეტულ სასაქონლო ბაზრებზე.

## 3.2 დღევანდელი სიტოაციის ანალიზი

საქართველოს WTO-ში გაწევრიანების შემდეგ გაიხსნა დასავლურ ქვეყანათა ბაზარი ქართული პროდუქციისთვის. მაგრამ დიდი ხნის მანძილზე ამ ნაბიჯებს სერიოზული ზეგავლენა არ ჰქონდა მოხდენილი სავაჭრო სალდოზე. იგი უარყოფითად რჩებოდა – თითქმის 300 მილიონი დოლარით. ჩვენი ქვეყნის მთელ ექსპორტში იმ პროდუქტის ნაწილი, რომელიც WTO-ს ბაზარზე იყიდებოდა, შეიძლება ითქვას, მიზერული იყო და სტრუქტურაზე სერიოზულ ზეგავლენას ვერ ახდენდა. მაგრამ ეს არ არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ბრალი. ისევე, როგორც ბაზრის ბრალი არ არის, თუ არაფერი გაქვს (არაფერი გიწარმოებია) გასაყიდი.

წლების შემდეგ სიტოაცია დადებითობისკენ შეიცვალა. 2017 წელი საკმაოდ აქტიური და მნიშვნელოვანი წელი იყო საქართველოს კაპიტალის ბაზრისთვის, რაც გამოიხატა როგორც ემისიების[15] სიმრავლეში, რომელთა ჯამურმა მოცულობამ დეკემბრის მონაცემებით გადააჭარბა 220 მლნ ლარს, ასევე ემისიების მრავალფეროვნებით, და აგრეთვე გარკვეული რაოდენობის უკვე მიღებული თუ დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებებით.

უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წელს ბაზრის ზრდა ძირითადად განპირობებული იყო მზარდი ეკონომიკური მაჩვენებლებით, კორპორაციული ბაზრის აქტივობით, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ჩართულობითა და მთავრობის ხელშეწყობით.

კაპიტალის ბაზრის განვითარება არ შეიძლება განვიხილოთ ისე, რომ არ შევეხოთ ეკონომიკურ პარამეტრებს. სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია ის, რომ საქართველოს ეკონომიკამ, მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, უკეთ გაუძლო საგარეო შოკებს. მაგალითად, 2015-2016 წწ. მსოფლიო „სასაქონლო ფასების შოკის" დროს საქართველოს ეკონომიკა 3.0%-ით გაიზარდა, მაშინ როდესაც დსთ-ის ქვეყნების ეკონომიკა 0.9%-ით შემცირდა. ამავდროულად, მიმდინარე წლის პირველ 10 თვეში საქართველოს ეკონომიკა მოსალოდნელზე მეტად გაიზარდა. ჩვენი პროგნოზით, 2017 წელი 5.0%-იანი ეკონომიკური ზრდით დასრულდება. რაც შეეხება ინფლაციას, ჩვენი პროგნოზით, 2017 წლის საშუალო წლიური ინფლაცია 6.0%-ის დონეზეა მოსალოდნელი. საშუალოვადიან პერსპექტივაში მოსალოდნელია, რომ საქართველოს ეკონომიკა 6-7%-ით გაიზრდება, ინფლაცია 3-4%-ის დონეზე და უმუშევრობა 10-11%-ის ფარგლებში მოექცევა. ეს და სხვა პოზიტიური ტენდენციები აუცილებლად დადებითად აისახება ფინანსური ბაზრების აქტივობაზე[16].

საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები, განსაკუთრებით კი Fitch-ის რეიტინგში დაწინაურება, რაც წარმოადგენს საქართველოს მიერ მიღწეული ეკონომიკური პროგრესის აღიარებას. საქართველოს მეტი პოლიტიკური და

[15] *ემისია*. (ლათ. emissio გამოშვება) - ფასიანი ქაღალდების, ქაღალდის ფულის გამოშვება
[16] http://forbes.ge/news/3275/saqarTvelos-kapitalis-bazari

ეკონომიკური სტაბილურობა, ეს გახლავთ ის ფაქტორები, რამაც გავლენა იქონია რეიტინგის გაუმჯობესებაზე. აღნიშნული ასევე ასახავს საქართველოს რეფორმებს და ეკონომიკურ ღიაობას, რასაც საქართელოში ვხედავთ. საქართველო მეექვსე ადგილს იკავებს, მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგში, რაც განსაკუთრებული მიღწევაა, რომელიც ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია მდგრადი გავითარებისთვის რისკენაც ჩვენ ვისწრაფვით.

ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის დაცვის ტარიფები ოფიციალურად დაუშვებელია. თუმცა პროტექციონული ნაბიჯები მეტნაკლებად აუცილებელია. სატარიფო განაკვეთებმა ხელსაყრელი პირობები უნდა შეუქმნას ადგილობრივ წარმოებას და კონკურენტუნარიანი გახადოს იგი, როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზრებზე. საქართველოში კონკურირებადი დარგების სისუსტის მიზეზი არა მხოლოდ არასაკმარისი სატარიფო დაცვაა, არამედ ქვეყანაში არსებული დემპინგური იმპორტი და კონტრაბანდა, რაც ხელს უშლის ბიზნესგარემოს ჩამოყალიბებას. მართალია, მსო-ში გაწერვიანების საფუძველზე საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სტრატეგიამ ახალი მახასიათებლები შეიძინა, მაგრამ ხელისუფლების ქმედითუნარიანობის გარეშე ეროვნული ეკონომიკა შეიძლება ძალზე სავალალო მდგომარეობაში აღმოჩდეს და ვერ მოახერხოს მსო-ში გაწევრიანებით მინიჭეული პრიორიტეტების რეალიზაცია.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების ამაღლება დამოკიდებულია საშინაო და საგარეო ბაზრებზე ეროვნული ინტერესების დაცვის ინსტუმენტების ეფექტიან გამოყენებაზე. ეს განსაკუთრებით დღესაა მნიშვნელოვანი, როდესაც ქვეყნა დაადგა განვითარების გზას. მნიშნელოვანია თუ როგორ იქნებიან დაცული ადგილობრივი მეწარმეები, რამდენად ამოქმედდება ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, სამამულო პროდუქციის ექსპორტირებისას იქნება თუ არა დისკრიმინაციული შეზღუდვები, რა ცვლილებები იქნება შეტანილი საგადასახადო კოდექსში, დაცული იქნება თუ არა საშინაო ბაზარი, და ა.შ.,

2000 წლის შემდგომ ქვეყნის განვითარების საფუძვლად თავისუფალი ეკონომიკა იქნა მიჩნეული, გაუქმდა მთელი რიგი გადასახადები, მოსაკრებლები და ბიუროკრატიული მექანიზმები გამარტივდა. სახელმწიფომ ფაქტობრივად ცალმხრივად თქვა უარი პროტექციონიზმზე, როგორც ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტზე. შედეგად, იმპორტზე საგადასახადო წნეხი საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა. ბუნებრივია, მსგავსი მიდგომა არ არის და ვერც იქნება დამახასიათებელი ყველა სავაჭრო პარტნიორი ქვეყნისთვის. ასე რომ, საქართველოში იმპორტირებულ საქონელზე საგადასახადო წნეხი საქართველოსივე გადაწყვეტილებით არის დაბალი.

შეღავათების წარმოშობას ქვეყნის მიხედვით ითვალისწინებს 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედებული საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება, რომლის შედეგადაც ევროკავშირში წარმოშობილი საქონელი იმპორტის გადასახადისაგან თავისუფლდება. ანალოგიური შეთანხმება მოქმედებს დსთ-ის წევრი ქვეყნებისათვის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მეთაურთა საბჭოს 2000 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად.

თურქეთთან მიმართებაში მსგავსი შეთანხმება 2007 წლის 21 ნოემბერს გაფორმდა. თუმცა, ეს უკანასკნელი მოიცავს გამონაკლისებს 1-ლი და მე-2-ე დანართის სახით (ძირითადად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების პროდუქცია). საერთო ჯამში, გამონაკლისების ჩამონათვალი თურქული მხარის სასარგებლოდ საგრძნობლად აღემატება ანალოგიურ ჩამონათვალს ქართული მხარის სასარგებლოდ, თუმცა, მთლიანად შეთანხმების საფუძველზე, ქართული ექსპორტის დიდმა ნაწილმა გაცილებით დიდ თურქულ ბაზარზე წვდომა საბაჟო გადასახადის გადახდის გარეშე მიიღო, მაშინ როდესაც თურქული მხარისათვის შეღავათი გაცილებით მცირე ქართულ ბაზარზე დაწესდა.

ადგილობრივი ბაზრის დაცვის თვალსაზრისით საქართველოს მსგავსი მიდგომა აქვს ათეულობით სხვა ქვეყნიდან იმპორტის შემთხვევაშიც. შეთანხმების პირობებში

მოცემულ გამონაკლისებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ თეორიულად საქართველოს საერთო ჯამში სიკეთე უნდა მიეღო. სხვა საკითხია, ქართული ბიზნესი რამდენად ეფექტურად ახერხებს არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს ყველა შესაძლებლობის სათავისოდ გამოყენებას.

მსოფლიო მეურნეობაში საქართველოს ეკონომიკის ინტეგრაცია მოითხოვს ამ პროცესებში სახელმწიფოს აქტიურ ჩარევასა და საგარეო-ვაჭრობის ურთიერთობების გონივრულ რეგულირებას. საგარეო-ეკონომიკური კავშირების უკონტროლობა ძირს უთხრის ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

## დასკვნა

ამრიგად, გლობალიცაზია ესაა ქვეყნებს შორის საზღვრების გაქრობა და მსოფლიოს ერთ მთლიან სივრცედ გადაქცევა. ზოგიერთი ქვეყანა სწრაფად ახერხებს გლობალურ მსოფლიოსთან ინტეგრაციას, ხოლო ზოგი შედარებით ნელი ტემპით ახდენენ ადაპტაციას. თანამედროვე პირობებში, საზოგადოებაში

გლობალიზაციას აღიქვამენ, როგორც პოზიტიური ასევე ნეგატიური დატვირთვით. თავისუფალი ვაჭრობის შექმნა რეალურად ითვალიწინებდა სავაჭრო ბარიერების შემცირებას, თუმცა მიმღებ ქვეყანას შეუძლია უკანონოდ თავის სასიკეთოდ აკეთოს ისე, რომ მწარმოებელი დააზარალოს. ამის გარდა ძალთა დისბალანსი სახელმწიფოთა შორის არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს მცირე სახელმწიფოებს. ძლიერ ქვეყნებს კი ეძლევათ საშუალება განსაზღვრონ ვაჭრობის პირობები, ისე რომ მიიღონ სარგებელი. სწორედ ამ ყველაფერმა მისცა დასაბამი შექმნილიყო ისეთი მარეგულირებელი ორგანიზაციები რომლებიც, მშვიდობიანი გზით მოახერხებდნენ ყველაფრის ლეგულირებას.

პროტექციონიზმი არის საგარეო სავაჭრო პოლოტიკის მიმართულება, რომელიც იცავს სამამულო წარმოებას უცხოური კონკურენციისგან. პროტექციონიზმი უარყოფს საბაზრო ძალების თავისუფალ მოძრაობას,რადგან ქვეყნებს აქვთ განსხვავებული ეკონომიკური პოტენციალი და კონკურენტულუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე. სახელმწიფო მოხელეებს  არაერთი მოსაზდრება მოყავთ საიმპორტო კვოტებისა და სხვა არასატარიფო ბარიერების სასარგებლოდ. სხვადასხვა არგუმენტებით ამართლებენ პროტექციონისტულ ნაბიჯებს, რომლებიც ხშირად გადაჭარბებულიცა, სწორედ ამიტომაა საჭირო სავაჭრო ორგანიზაციებს ჩარევა და მსგავსი პრობელემების მოგვარება. პროტექციონულმა ნაბიჯემბმა საჭირო გახადა მისი მარეგულირებელი ორგანიზაციის შექმნა, კერძოდ კი WTO-ის. ეს სავაჭრო ორგანიზაცია შეიქმნა 1995 წელს იმ მიზნით, რომ არეგულიროს ეკონომიკური ურთიერთკავშირები მონაწილე ქვეყნებს შორის.

ქვეყნის ეკონომიკის ინტეგრაცია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ხელს შეუწყობს ეროვნული ეკონომიკის განვითარებას. ვალდებულებები და პასუხისმგებლობები, ისევე როგორც ყველა წევრმა ქვეყანამ, საქართველომაც აიღო მსო-ს მოთხოვნათა შესასრულებლად. საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის თვალსაზრისით, რაც უპირველეს ყოვლისა გამოიხატება ექპორტ-იმპორტის კვოტების გაუქმებით. საგარეო ვაჭრობის განვითარების მიზნით გააფორმა ხეშეკრულებები პარტნიორ

ქვეყნებთან. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებამ დააყენა სახელმწიფოს ახალი სავაჭრო პოლიტიკის შემუშავება-განხორცილებეის ამოცანა.

მვო-ში გაწევრიანების შემდეგ შეიმჩნევა საქართველოს ეკონომიკის ზრდა, თუმცა საბოლოო შედეგის მისაღებად კიდევ ბევრი ნაბიჯი გვაქვს გადასადგმელი. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების ამაღლება დამოკიდებულია საშინაო და საგარეო ბაზრებზე, ასევე ეროვნული ინტერესების დაცვის ინსტრუმენტების ეფექტიან გამოყენებაზე. მნიშნელოვანია: როგორ იქნებიან დაცული ადგილობრივი მეწარმეები, რამდენად ამოქმედდება ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, სამამულო პროდუქციის ექსპორტირებისას იქნება თუ არა დისკრიმინაციული შეზღუდვები, რა ცვლილებები იქნება შეტანილი საგადასახადო კოდექსში, დაცული იქნება თუ არა საშინაო ბაზარი, და ა.შ.,

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი რ. გლობალიზაცია ეკონომიკური თეორია და საქართველო, თბილისი, გამომც. „სიახლე“, 2010

2. კაკაბაძე ვ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია პ.გუგუშვილის სახელობბის ეკონომიკის ინსტიტუტი, საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუტი, სამეცნიერო ნაშრომების კრებული, გამომც. „მეცნიერება“, 2004
3. მაღლაკელიძე თ. ეკონომიკური უსაფრთხოება, თბილისი, სიახლე, 2002
4. პავლიაშვილი ს, გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციები, გლობალიზაცია და მეცნიერების აქტუალური პრობლემები 21-ე საუკუნეში, მეცნიერება და ცხოვრება №1 (7), თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი, 2013 წელი,
5. ფეტელავა ს. კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქრთველოში, თბილისი, გამომც. „ლოი“, 2007
6. ყორღანაშვილი ლ. საერთაშორისო ბიზნესი, გამომც. თბილისის უნივერსიტეტი“ თბილისი 1998
7. შენგელია თ. გლობალური ბიზნესი, თბილისი, გამომც. „უნიბერსალი“, 2013
8. ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობელემები, თბილისი, 2001
9. ჯამაგიძე ლ. ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2008
10. ჰ. ლინდერტი პ. საერთაშორისო ეკონომიკა, “მთარგმნ“ ვახტანგ ვეფხვაძე, ირინა გოგორიშვილი, თბილისი, გამომც. „სიახლე“, 2011,
11. საერთაშორიოს ბიზნესი, ლექციების კურსი, თბილისი, გამომც. „უნივერსალი“, 2011,
12. http://www.socium.ge/index.php/articles/student-articles/14-glocalisation
13. http://www.bpa.ge/book/book53.pdf
14. http://forbes.ge/news/3275/saqarTvelos-kapitalis-bazari
15. https://factcheck.ge/
16. https://en.wikipedia.org/wiki/Globalization
17. https://www.wto.org/